პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 37-ე წელი
№ 188 (10582) | სამშაბათი, 14 აგვისტო, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობა კონფერენციაზე სუეცის არხის საკითხის შესახებ (1-ლი გვერდი).

დ. ლომთათაძე. — სამშენებლო ტექნიკის გამოფენაზე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — **ა. გოცირიძე.** — ღამით მეისრეებთან... (მე-2 გვერდი).

ავამაღლოთ პროფკავშირული მუშაობის დონე. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმზე (მე-2 გვერდი).

ბ. ჩხეიძე. — ტირიფონის ველზე, ხორბლის ხვავთან (მე-2 გვერდი).

მაქსიმალურად გამოვიყენოთ შესაძლებლობანი, უზრუნველვყოთ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულება. — ვ. ჯაყელი. — ერთნაირ პირობებში სხვადასხვა შედეგი. თავდადებული შრომის ნაყოფი (მე-3 გვერდი).

რ. ჭელიძე. — დავიცვათ და განვავითაროთ სამონადირო მეურნეობა (მე-3 გვერდი).

ნ. ჯანჯღავა, გ. ნოდია. — სვანეთში, ხაშის ტყეებში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა-ფინეთის განცხადებაზე სუეცის არხის საკითხის შესახებ (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ვ. გაბელია. — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა (მე-4 გვერდი).

უკეთ გავაშუქოთ სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები დღითიდღე აძლიერებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მარცვლეული, ტექნიკური და სხვა კულტურების, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. საკოლმეურნეო სოფელში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება იძლევა სოფლის მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარების ფართო შესაძლებლობებს, ხელს უწყობს შინაგანი რეზერვების გამოვლინებას და მათს სწორად გამოყენებას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო ბრძოლაში, სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაშლა-გაფართოებაში დიდი როლი ეკუთვნის ჩვენს პრესას, კერძოდ, მის ყველაზე მასობრივ რაზმს — რაიონულ გაზეთებს. რაიონული გაზეთები მოწოდებული არიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სოფლად სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაჩაღებას, აქტიურად დაეხმარონ შეჯიბრებაში ჩაბმულ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელს ნაკისრი ვალდებულებათა პირნათლად შესრულებაში, თართოდ ასახონ თავიანთ ფურცლებზე სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება, დაუფალავად იბრძოლონ ამ გამოცდილების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვისათვის.

დიდ ადგილს უთმობს სოციალისტური შეჯიბრების გაშუქებას წითელწყაროს რაიონული გაზეთი „ახალი შირაქი". იგი აქტიურად გამოეხმაურა მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის გარეუბნისა და წითელწყაროს რაიონებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას, საქმის ცოდნით, მკაფიოდ აშუქებს ამ შეჯიბრების მიმდინარეობას. გაზეთი სწორად იქცევა, კომბაინერთა შეჯიბრების ასახვისას მთავარ ყურადღებას რომ აქცევს მოწინავეთა გამოცდილების ჩვენებას. მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებასთან ერთად „ახალი შირაქი" მკაცრად აკრიტიკებს იმ კომბაინერებს, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ დაპირებებს. უნარიანად აშუქებს მეჩაიეთა სოციალისტურ შეჯიბრებას მახარაძის რაიონული გაზეთი „ლენინის დროშა". რუბრიკით — „ვამოწმებთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას" გაზეთი სისტემატურად ბეჭდავს საქმიან კორესპონდენციებსა და შენიშვნებს მეჩაიეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ, წაახალისებს მოწინავეებს, მოურიდებლად ამხილებს იმათ, ვისი სიტყვაც საქმეს სცილდება.

მაგრამ ასე არ ითქმის ზოგიერთ რაიონულ გაზეთზე. რამდენიმე თვის წინათ რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე გაკრიტიკებულ იქნა გურჯაანის რაიონული გაზეთი „საკოლმეურნეო შრომა" გურჯაანისა და ზესტაფონის რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელთა ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრების უინიციატივოდ, უფერულად გაშუქებისათვის. მიუხედავად ამისა, „საკოლმეურნეო შრომა" მაინც ღრმად ვერ სწვდება შეჯიბრების არსს, ჯერ კიდევ არასაკმაოდ იბრძვის ორი რაიონის მშრომელთა შეჯიბრების საჯაროობისათვის, მისი ქმედითობისათვის. გურჯაანისა და მთელი რიგი სხვა რაიონული გაზეთების მთავარი ნაკლი ის არის, რომ სათანადოდ ვერ უჩვენებენ შეჯიბრებაში ჩაბმულთა მოწინავე მაგალითს, იმას, თუ რა ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს შეჯიბრება სოფლის მეურნეობის მშრომელთა საქმიანობაზე, სიძნელეებთან ბრძოლაში მათს გამოწრთობაზე. გაზეთები ცოცხალი, კონკრეტული საქმეების ჩვენების ნაცვლად ხშირად სჯერდებიან არაფრისმთქმელ, სტანდარტულ ფრაზებს: „კარგად მუშაობენ", „კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში", „წარმატებით ანაღდებენ ვალდებულებებს" და ა. შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევები, როცა ცალკეული გაზეთები მხარს არ უჭერენ თავიანთი რაიონის მოწინავეთა თაოსნობას. რესპუბლიკაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვამ საქართველოს კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მემინდვრის, მეცხოველისა და მექანიზატორისადმი — სიმინდის უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. აი კეთილშობილური თემა გაზეთისათვის! მაგრამ მცხეთის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის გზით" რედაქცია ფართოდ არ გამოეხმაურა ამ თაოსნობას. თებერვლის შუა რიცხვებიდან მოყოლებული ივლისამდე გაზეთს არ დაუბეჭდავს არც ერთი საქმიანი კორესპონდენცია შეჯიბრების ინიციატორთა საქმიანობაზე, იმ წარმატებებზე, რომლებითაც წილკნელმა კოლმეურნეებმა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვეს.

პარტიის XX ყრილობამ მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციებს უფრო ფართოდ გააჩაღონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა მისდამი, კიდევ უფრო აამაღლონ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და წარმართონ იგი იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს. ამ საპატიო ამოცანის შესრულებაში პარტიულ ორგანიზაციებს ქმედითი დახმარება უნდა გაუწიოს პრესამ. რაიონული გაზეთები ფართო ადგილს უნდა უთმობდნენ თავიანთ ფურცლებზე სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას, ადგილობრივ ფაქტებზე და მაგალითებზე დაყრდნობით უძლიერებდნენ შეჯიბრების მონაწილეებს ნაკისრი ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას.

საყოველთაოდ ცნობილია სოციალისტურ შეჯიბრებაში მოწინავე გამოცდილების გამოყენების მნიშვნელობა. გაზეთების ვალია კონკრეტული, ცოცხალი მაგალითებით უჩვენებდნენ შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილებას, ზრუნავდნენ ამ გამოცდილების ყველა კოლმეურნეობაში, მტსში და საბჭოთა მეურნეობაში დანერგვისათვის. ამ საქმეში მათ ფართოდ უნდა გამოიყენონ შედარების მეთოდი. მოწინავე, საშუალო და ჩამორჩენილი კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიური მაჩვენებლების შედარებით, მათი მუშაობის ანალიზით გაზეთები კონკრეტულად უნდა ასახავდნენ საქმის ნამდვილ ვითარებას ამ მეურნეობებში, ავლინებდნენ იქ არსებულ რეზერვებს, ეხმარებოდნენ ჩამორჩენილებს იმაში, რომ მიაღწიონ მოწინავეთა დონეს.

რაიონული გაზეთები მკაცრად უნდა ილაშქრებდნენ შაბლონის, ფორმალიზმის, კამპანიურობის წინააღმდეგ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, მკაცრად აკრიტიკებდნენ იმათ, ვინც უდარდელად ეკიდება ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებას.

რაიონული პრესა ენერგიულად უნდა იბრძოდეს სოფლად მასების შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარებისათვის, სისტემატურად, ქმედითად ეხმარებოდეს მათ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებაში, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის თავდადებულ ბრძოლაში.

ყირგიზეთის სსრ ფრუნზეს ოლქმა ვადამდე შეასრულა პურის დამზადების გეგმა

ყირგიზეთის სსრ ფრუნზეს ოლქის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა ვადამდე შეასრულეს 100,6 პროცენტით. ჩაბარებულია ერთი მილიონ რვაასცამეტი ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან ამ თარიღისათვის. გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს ჩაბარდება სულ ცოტა 500 ათასი ფუთი პური.

პენსიების დამნიშნავი კომისიები

დამტკიცებულია დებულება სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მოსკოვში მუშაობა დაიწყეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებში შექმნილმა სპეციალურმა კომისიებმა.

თვითეულ რაიონში შეიქმნა ორი ან სამი ასეთი კომისია. მათ შემადგენლობაში არიან სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების, საფინანსო განყოფილების, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და სამხედრო კომისარიატის წარმომადგენლები. კომისიები განიხილავენ პენსიონერთა ყველა საქმეს, განსაზღვრავენ პენსიის ოდენობას ახალი კანონის შესაბამისად. კომისიებს დახმარებას გაუწევენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები. ისინი შეამოწმებენ და დააზუსტებენ სხვადასხვა მონაცემებს, რომლებიც ეხება მშრომელთა პენსიით უზრუნველყოფას.

დედაქალაქის საბჭოს რაიონში 37 ათასზე მეტი პენსიონერია. ბევრი მათგანი უკვე მიიწვიეს კომისიაში იმ საკითხების დასაზუსტებლად, რომლებიც წარმოიშვა მათი საქმეების გადასინჯვის დროს. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ინსპექტორები იღებენ საჭირო დამატებითს ცნობებს, განუმარტავენ მისულთ, თუ რა დოკუმენტები აკლია საქმეში და უნდა წარადგინონ მათ, სად და როგორ უნდა მიიღონ ეს დოკუმენტები.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებში არის ყველა საჭირო ცნობის ფორმები. ამ ცნობებს დაუყოვნებლივ მიიღებენ პენსიონერები სამუშაო ადგილას ან სახლმმართველობაში.

რუსეთის ფედერაციის ბევრ ოლქში, მხარესა და ავტონომიურ რესპუბლიკაში მუშაობა დაიწყეს რაიონულმა, საქალაქო და სასოფლო საპენსიო კომისიებმა.

სამშენებლო ტექნიკის გამოფენაზე



წლობით გრძელდება ზოგჯერ ე. წ. მცირებინიანი და მცირესართულიანი სახლების მშენებლობა, რადგან მშენებლებს ხან ხე-ტყის მასალა აკლიათ, ხან ცემენტი და ვინ მოთვლის კიდევ რა. ამავე დროს სამშენებლო ტექნიკა ისე განვითარდა, რომ მცირესართულიანი სახლების აგება ახლა შესაძლებელია სულ რამდენიმე დღის განმავლობაში. ამისათვის საჭიროა სამშენებლო ინდუსტრიის ქარხნებს სათანადო სტანდარტების მიხედვით დავუკვეთოთ საცხოვრებელი სახლის ცალკე ელემენტების დამზადება, მოვზიდოთ ეს მასალები სამშენებლო მოედანზე და შევუდგეთ სახლის აწყობას.

ასეთი სახლის ნიმუში ნაჩვენებია სამშენებლო ტექნიკისა და საშენი მასალების მუდმივ გამოფენაზე, რომელიც მშენებლის დღის აღსანიშნავად გაიხსნა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპოზიციები — შენობათა და ნაგებობათა ფრაგმენტები, ბეტონისა და რკინაბეტონის ახაწყობი კონსტრუქციები, მსხვილი ბლოკები, პანელები, ახალი ტექნიკის ნიმუშები, ხელსაწყოები და სამარჯვები, მაკეტები და პროექტები, ადგილშრომივი ნედლეულისაგან დამზადებული საშენი მასალები არასპეციალისტსაც კი სრულ წარმოდგენას უქმნიან იმაზე, თუ რას ნიშნავს ამ საქმეში ინდუსტრიული მეთოდი, რამდენად დიდ ხელსაყრელობას ქმნის ამ მეთოდით მუშაობის ფართოდ დანერგვა მშენებლობის სწრაფად, მაღალხარისხოვნად და იაფად განხორციელებისათვის.

გამოფენა ცხადყოფს იმასაც, რომ ჩვენშივე, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მშენებლობაზე გამოყენებულია ბევრი სიახლე, ბევრი გაუმჯობესება, რომელიც დღემდე მასებისათვის არ იყო ცნობილი. ცალკე სამშენებლო ობიექტებზე აქვთ ძვირფასი გამოცდილება, რომელსაც სხვა ობიექტებზე არ იცნობდნენ. ეჭვი არ არის, ეს გამოფენა ხელს შეუწყობს და გააადვილებს მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, გაუმჯობესებული სამშენებლო ტექნიკის მასობრივად დანერგვას.

ბევრ სიახლეს იპოვნიან გამოფენის დამთვალიერებლები იქ წარმოდგენილ ექსპონატებს შორის. აი, მაგალითად, სპეციალისტების საერთო ყურადღებას იპყრობს ინჟინერ ვ. ნეიდლეის მიერ დამზადებული ორმხრივი მოძრავი ვერტიკალური ქარგილი, რომელსაც დიდი წარმატებით იყენებს მეორე საერთო-სამშენებლო ტრესტი რუსთავის მახლობლად კოლმეურნეებისათვის სახლების მშენებლობაზე. ამ ქარგილს იყენებენ ნებისმიერი სიხქის ბეტონის კედლების ამოყვანაზე და, როგორც გამოცდილებამ ცხადყო, ამით აღწევენ საქარგილე ხე-ტყის მასალის ეკონომიას 90 პროცენტით, ლურსმნის ეკონომიას — 95 პროცენტით, მავთულის ეკონომიას — 95 პროცენტით, მუშახელის ეკონომიას — 50 პროცენტით.

საქართველოში სამშენებლო საქმე ძველთაგანვე მაღალ დონეზე იყო. ამას ადასტურებს მრავალი ისტორიული ძეგლი, სადაც ჩვენი წინაპრები შესანიშნავი ოსტატობით იყენებდნენ ადგილობრივ საშენ მასალებს. სამშენებლო საქმეში დღისაც ცნობილი და პოპულარულია კედლის ე. წ. „კახური სისტემით" წყობა. კახური წყობისას იყენებენ როგორც ფონდირებულ მასალას — აგურს და ცემენტს, ისე ადგილობრივ საშენ მასალას — ქვის ლოდის ნატეხებს. სამწუხაროდ, ამ სისტემით კედლის წყობა, მიუხედავად მისი დიდი ეკონომიური ეფექტისა, ხშირად უგულებელყოფილია. აგურის ზოლებს შორის ცემენტის ხსნარზე ნაწყობი ლოდები, გარდა იმისა, რომ გვაძლევენ კედლის უაღრეს სიმტკიცეს, საგრძნობლად აიაფებენ მშენებლობას. გამოფენაზე საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროსათვის გამოყოფილ განყოფილებაში წარმოდგენილია კახური სისტემით ამოყვანილი შენობის კედელი და მოყვანილია ცნობები, რომ ამ სისტემით კედლის ამოყვანისას აგურის ეკონომია უდრის 60 პროცენტს, ერთი კუბმეტრი კედლის დაწყობა ჯდება მხოლოდ 130 მანეთი.

საერთო ყურადღებას იქცევს ლ. თოთაძისა და ა. ნემსიწვერიძის კოლექტიური შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგად შექმნილი სასკრეპერო მანქანა — მომხვეტი ნიჩაბი, რომელიც მუშაობს ელექტროდენით და რომელსაც იყენებენ რკინიგზის ღია ვაგონებიდან ფხვიერი საშენი მასალის (ქვიშა, ხრეში, კირი და ა. შ.) გადმოსატვირთავად. ეს დანადგარი ათეულობით მუშას ცვლის, სწრაფად ათავისუფლებს და აჩქარებს ვაგონის ბრუნვას.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ინჟინრის დ. ყიფიანის მიერ დამუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით ნახერხისაგან და სხვა მინარევებისაგან დამზადებული ფილები, საკედლე ბლოკები, მოსაპირკეთებელი მასალები, რომელთა გამოყენებით საგრძნობლად მცირდება მშენებლობის ხარჯი. განსაკუთრებით საინტერესო და პერსპექტიულია მშენებლობაში გამოსაყენებლად ნახერხთან შეზავებული მასისაგან (ქსილოლითისაგან) დამზადებული კრამიტი, რომელიც თიხის კრამიტთან შედარებით ბევრად ნაკლები ჯდება, ხოლო ხარისხით არათუ არ ჩამოუვარდება, არამედ უკეთესიც არის მასზე.

ეს გამოფენა მოწინავე მშენებლთა აღზრდის, გამოცდილების მასობრივად გავრცელებისა და ცალკე მიღწევათა ჩვენების საუკეთესო სკოლაა. დასანანებელია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილ ზოგ ექსპონატს თან არ ახლავს საჭირო განმარტება — სად, რომელ მშენებლობაზე გამოიყენეს ესა თუ ის ხელსაწყო, კონსტრუქცია ან მასალა, როგორი ეკონომიაა მიღებული და ა. შ.

საჭირო იქნება სამშენებლო ორგანიზაციების პროფკავშირულმა მუშაკებმა ითავონ და მოაწყონ ექსკურსიები ამ გამოფენის დასათვალიერებლად.

დ. ლომთათაძე.

• • •



სურათებზე: ზევით — ინჟინერ ვ. მიქაძის სისტემის რელსებზე მოსიარულე ხარახო-ამწე, რომელსაც წარმატებით იყენებენ მრავალსართულიანი სახლების მშენებლობაზე; ქვემოთ — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ექსპონატების კუთხე.

ფოტო შ. გოჩაძისა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მოწინავე მშენებლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

„მშენებლის დღესთან" დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ მოწინავე მშენებლები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

ალახვერდოვი ყარა-შუსტაფა ოღლი, მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს მუშა;

ანდღულაძე ქრისტეფორე იაგორის-ძე, თბილპიდროენერგოპროექტის მთავარი ინჟინერი;

ბარბაქაძე გიგა ვლადიმერის-ძე, ტრესტ „საქშახტმშენის" ქუთაისის სამშენებლო სამმართველოს მებეტონე;

ბაქრაძე ნიკოლოზ ივანეს-ძე, საქჰიდროენერგომშენის ტრესტის ექსკავატორზე მომუშავე;

გაბუნია ივანე გაიოზის-ძე, საქალაქო მშენებლობის დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი;

გაფრინდაშვილი ქსენია თადეოსის ასული, თბილისის კერამიკული კომბინატის მწნეხავი;

გვაზდიკოვი ვასილ დიმიტრის-ძე, მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს მეარმატურე;

გიორგაძე ნესტორ ასალოს-ძე, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველი;

გიცბა ბორის მიხეილის-ძე, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის ბრიგადირი;

დუბოვი ანდრია პავლეს-ძე, გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ბულდოზერისტი;

ვაშაკიძე გრიგოლ ვიქტორის-ძე, მეტალურგმშენის სამმართველოს მთავარი ინჟინერი;

ზიაბკინი ივანე ექვთიმეს-ძე, გუმათჰესის მეარმატურეთა ბრიგადირი;

თადაევი ვახტანგ სიმონის-ძე, საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მეარმატურე;

თვალავაძე გიორგი სარდიონის-ძე, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი;

კახიძე ბრაგიმ ქებასის-ძე, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის კალატოზი;

კაუნი ნიკოლოზ პეტრეს-ძე, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მებათქაშე;

კეჩხუაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე, „საქკვებმრეწპროექტის" უფროსი არქიტექტორი;

კედია ვალერიან ალექსანდრეს-ძე, საქალაქო მშენებლობის დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის პროექტის მთავარი არქიტექტორი;

კიკნაძე დავით მიხეილის-ძე, საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მშენმონტაჟის ტრესტის მემონტაჟე;

კოკოზაშვილი შოთა ნიკოლოზის-ძე, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მებათქაშეთა ბრიგადირი;

კუდოიაროვი ნიკოლოზ დავითის-ძე, ამიერკავკასიის ტრანსმშენის ტრესტის ექსკავატორების მემანქანეთა ბრიგადირი;

ლაგოიდა გრიგოლ თეოდორეს-ძე, საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მშენმონტაჟის ტრესტის მემონტაჟე;

მარკოზი თეოდორე პავლეს-ძე, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის კალატოზი;

მელიქიშვილი ალექსი ბაბრიელის-ძე, საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მშენმონტაჟის ტრესტის ხუროთა ბრიგადირი;

ობოლაძე გრუზო ივანეს-ძე;

ოდიკაძე გიორგი იოსების-ძე, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ექსკავატორის მემანქანე;

ოლეინიკოვი ალექსანდრე გრიგოლის-ძე, ლაჯანურჰესის მშენებლობის გამყვანთა ბრიგადირი;

ომანიძე ნადეჟდა ფილიპეს ასული, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მებეტონეთა ბრიგადირი;

ოქსუზიანი ავეტის ვასილის-ძე, სამტრედიის აგურის ქარხნის კრამიტის საამქროს მუშა;

ფელიანი გაბრიელ სტეფანეს-ძე, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის ზეინკალთა და სანტექნიკოსთა ბრიგადირი;

საანიშვილი ალექსანდრე იაკობის-ძე, გზატკეცილების მთავარი სამმართველოს გზის ინჟინერი;

ტევონიანი ლევან პოღოსის-ძე, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი;

ტუშკანოვა ბარბარე ვასილის ასული, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მებათქაშეთა ბრიგადირი;

ქამუშაძე რუბენ ვარდენის-ძე, ამიერკავკასიის ტრანსმშენის ტრესტის კალატოზი;

ქართველიშვილი ლევან იასეს-ძე, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადირი;

ქუთათელაძე გივი კონსტანტინეს-ძე, საქჰიდროენერგომშენის ტრესტის ბადალოვლ

პარტიული ცხოვრება

აგიტატორის საუბრიდან

ღამით მეისრეებთან...

სურათზე: აგიტატორი ი. ხაჩირაშვილი ესაუბრება ღამის ცვლაში მომუშავე მეისრეებს, მატარებლის შემდგენლებს და გადამბმელებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გარიჟრაჟზე, როცა ქალაქს ისევ ეძინა, მეისრე თევდორე ბოლოთაევი რკინიგზის ლიანდაგებს შორის მიაბიჯებდა, თან ელექტროშუქურების თვალისმომჭრელ სინათლეზე დაკვირვებით სინჯავდა ხაზს. ერთ ადგილზე ძირს დაიხარა და ლიანდაგს დააკვირდა.

— ეს ვერ არის კარგი საქმე, — წამოიძახა შეშფოთებულმა, უმალვე მახლობელი ჯიხურისაკენ გაეშურა და სადგურის მორიგეს ტელეფონით დაუკავშირდა:

— გთხოვთ სასწრაფო ზომები მიიღოთ! ლიანდაგის ხაზი, რომელზეც ოცი წუთის შემდეგ მატარებელი უნდა მივიღოთ, სახიფათო მდგომარეობაშია; ის ალბათ წინა მატარებლის გავლის დროს დაზიანდა...

კომუნისტი მეისრის თ. ბოლოთაევის სიფხიზლის შედეგად მოსალოდნელი მარცხი თავიდან იქნა აცილებული.

სწორედ ეს ამბავი მოუთხრო ამას წინათ ღამის ცვლაში მომუშავე მეისრეებს, მატარებლის შემდგენლებსა და გადამბმელებს სადგურ თბილისის მორიგემ, კომუნისტმა ი. ხაჩირაშვილმა. მან მეისრე თ. ბოლოთაევის კეთილსინდისიერი, თავდადებული შრომის სხვა ბევრი მაგალითიც დაასახელა.

გემოვნებით გაფორმებულ წითელ კუთხეში მსხდომი მეისრეები, მატარებლის შემდგენლები და გადამბმელები ყურადღებით უსმენდნენ აგიტატორის ცოცხალ და საინტერესო საუბარს.

აგიტატორმა, რომლის საუბრის თემა იყო „მეექვსე ხუთწლედი და ჩვენი ამოცანები“, ილაპარაკა იმ კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა წინაშე არის დასახული.

— ახლა მთავარია, — განაგრძო აგიტატორმა, — მთელი ძალები დავრაზმოთ რკინიგზის ტრანსპორტის — ჩვენი საყვარელი სამშობლოს ამ სასიცოცხლო არტერიის — გამართული მუშაობისათვის.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია თბილისის სამგზავრო სადგურის მთელი კოლექტივი. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან მეისრეები დავით მუხიგულაშვილი და ევგენია ბელენკო. რამდენიმე ათეული წელია, რაც ისინი მეისრეებად მუშაობენ. მათი სიტყვა და საქმე ერთია.

— ჩვენი ევგენია და დავითი, — აღნიშნა აგიტატორმა, — მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. ისინი სისტემატურად იმაღლებენ კვალიფიკაციას და შემოქმედებითი შრომის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ.

საუბრის დროს აგიტატორი შეეხო უფროსი მეისრეების მიხეილ გუგულაშვილის და გიორგი მღებრიშვილის უწყნო მუშაობასაც. რკინიგზის ტრანსპორტის ეს მოწინავე ადამიანები ამხანაგებს ხალისით უზიარებენ მუშაობის თავიანთ გამოცდილებას.

მრავალი მოწინავე რკინიგზელი დაასახელა აგიტატორმა. მეისრეები, მატარებლის შემდგენლები, გადამბმელები სადგურის მთელ კოლექტივთან ერთად თავდადებით შრომობენ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

შემდეგ აგიტატორმა მსმენელებს დაწვრილებით გააცნო და განუმარტა პლაკატები და დიაგრამები თემაზე: „რკინიგზის ტრანსპორტი მეექვსე ხუთწლედში“. ამავე დროს ილაპარაკა იმაზე, რომ რკინიგზელთა მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია.

— სერიოზული ხარვეზებია მგზავრთა მომსახურების საქმეში, — შენიშნა ერთ-ერთმა მეისრემ.

— სწორია, — ეთანხმება აგიტატორი, — თავიანთ სამუშაო ობიექტებზე სისუფთავეს ყოველთვის არ იცავენ ვაგზლის მუშაკები ხ. ფეროევი და კ. ნასიროვი...

— ზოგიერთი მოლარეც არ მუშაობს წესიერად, — სიტყვას ურთავს კუთხეში მჯდომი ახალგაზრდა შემდგენელი.

— ამხანაგებო, — ამბობს აგიტატორი, — თქვენ იცით, რომ ბევრი მოლარე კეთილსინდისიერად მუშაობს, მაგრამ არიან ცუღლუტებიც. მაგალითად, მოლარე გ. ხაჩატუროვამ ბათუმისა და სოჭის მატარებლების დარჩენილი ბილეთები შეინახა და დანიშნულებისამებრ არ გადასცა; ეს მაშინ, როცა მგზავრებს ბილეთები არ ჰყოფნიდათ...

— სამარცხვინოა, — წამოიძახეს მეისრეებმა, — ეს ასე არ უნდა დარჩეს!

საუბრის დროს აღინიშნა ისიც, რომ ბაქნის კონტროლიორი მ. მუჯარიძე დაკისრებულ მოვალეობას ხმირად უპასუხისმგებლოდ ეკიდება, უბილეთო მგზავრებს უშვებს ბაქანზე.

საუბრის დასასრულს აგიტატორი მსმენელებს დაჰპირდა, რომ გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა შესახებ საკითხს დააყენებს პარტიეთროს წინაშე. მეისრეებმა, მატარებლის გადამბმელებმა და შემდგენლებმა თავიანთ საშუაო უბნებს მიაშურეს. ისინი უფრო მეტი მონდომებითა და აღფრთოვანებით შეუდგნენ მუშაობას. მგზავრთა უკეთ მომსახურების მიზნით მათ დანიშნულ დროზე ათი წუთით ადრე გაამზადეს თბილისი-ფოთის მატარებელი. ასევე მოხდა მეორე მორიგი მატარებლის შედგენისა და ვაგზალზე ჩამოყენების დროსაც.

გვიან ღამით, დაახლოებით ღამის სამ საათზე, პარტორგანიზაციის დავალებით სადგურის უფროსმა შ. გოკაძემ მეისრეთა ჯიხურში მეისრეებს ათწუთიანი საუბარი ჩაუტარა ტექნიკური უსაშიშრობის წესების დაცვის საკითხებზე, სიფხიზლის გაძლიერების აუცილებლობაზე.

თბილისის სამგზავრო სადგურის პარტორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი გ. ნიკურაძე) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საგიტაციო მუშაობას ღამის ცვლაში. ღამის ცვლებში საგიტაციო საუბრების მოსაწყობად გამოყოფილი არიან მოწინავე და გამოცდილი აგიტატორები. საინტერესო და ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული საუბრებით მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის მეისრეებში.

ა. გოცირიძე.

ავამაღლოთ პროფკავშირული მუშაობის დონე

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმზე

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხები „მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოებში, მშენებლობებზე, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების დარგში რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ და „რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები მშრომელთა შორის აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების დარგში“.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ი. ხეთაგურმა.

პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა მობილიზაციის ქმედითი საშუალებაა კოლექტიური ხელშეკრულებები. რესპუბლიკაში დადებულია 903 ასეთი ხელშეკრულება. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ ორმხრივ ვალდებულებათა რეალიზაციის საფუძველზე მთელ რიგ საწარმოებში მიღწეულია წარმატებანი სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

კამათის მონაწილენი ლაპარაკობდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებზე კოლექტიურ ხელშეკრულებათა განხორციელების საქმეში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა, რომ კოლექტიური ხელშეკრულებები ხშირად არ სრულდება, ხოლო პროფკავშირები დუმან, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს, ისინი აღარ დავობენ სამეურნეო მუშაკებთან, მათ შორის სრული სიმშვიდეა.

ეს კრიტიკა მთლიანად და სავსებით ეხება ჩვენი რესპუბლიკის ბევრ პროფკავშირულ ორგანიზაციას და სამეურნეო ხელმძღვანელს, რომლებიც ივიწყებენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს, რაც იწვევს სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის შესუსტებას. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში რესპუბლიკის 988 საწარმოდან 306 საწარმომ ვერ შეასრულა საწარმოო დავალება. მათ შორის არიან საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროების საწარმოები.

მომხსენებელსა და კამათის მონაწილეებს მოჰყავდათ ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ზოგიერთ პროფკავშირულ მუშაკს არა სურს ურთიერთობა გაიფუჭოს სამეურნეო მუშაკებთან და არ მოითხოვს მათგან კოლექტიური ხელშეკრულების ყველა პუნქტის შესრულებას, ყურადღებას არ აქცევს მუშების საჭიროებებს. ეს ეხება კერძოდ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მთელ რიგ პროფორგანიზაციებს, მათ შორის ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს (თავმჯდომარე ამხ. გ. ძიძიგური). ეს არის საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ჩხორჩრენის, შახტებში შრომის დაცვის და უსაშიშრობის ტექნიკის წესების დარღვევათა ერთ-ერთი მიზეზი.

ცუდად სრულდება კოლექტიური ხელშეკრულებების გათვალისწინებული ვალდებულებანი საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ბევრ საწარმოში და მშენებლობაზე. ამის შედეგად წლის პირველ ნახევარში აქ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 96 პროცენტით.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმზე

დამსწრენი ვერ დააკმაყოფილა საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. მ. ბრეგაძის და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ა. დემეტრაშვილის გამოსვლებმა. მათ კონკრეტული არაფერი თქვეს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს იღებენ კოლექტიურ ხელშეკრულებებში შეტანილ ვალდებულებათა განსახორციელებლად.

პლენუმზე გააკრიტიკეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, რომლებიც დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობენ მტს-ებში დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესასრულებლად.

თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მექანიკოსმა ამხ. ე. სოლომკომ, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მსხმელმა ამხ. ვ. ოსიდჩიმ, ჭიათურის მაღაროს მნარავეულმა ამხ. ტ. ფოფხაძემ ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ მათს საწარმოებში სუსტად ხორციელდება კოლექტიური ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებიც ითვალისწინებენ მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულებისათვის ბრძოლა პროფკავშირული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა, რომ მათ თავიანთი მუშაობა უნდა აიყვანონ ფეხვანდელი დონის, იმ ამოცანების მოთხოვნათა დონემდე, რომლებსაც კომუნისტური პარტია სახავს.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — „რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები მშრომელთა შორის აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების დარგში“ მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგემ ამხ. ი. ჩოჩიამ.

მომხსენებელსა და კამათის მონაწილეებს აღნიშნავდნენ, რომ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლების დარგში პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულების საქმეში დიდი როლი ეკუთვნით პროფკავშირებს. ისინი განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდნენ მშრომელთა შორის აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის ფართოდ განვითარებისათვის, მათ მზარდ კულტურულ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

საქართველოს პროფკავშირულ ორგანიზაციებს ამისათვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი აქვთ. მათს განკარგულებაშია 1.600-ზე მეტი კულტურის სასახლე და სახლი, კლუბი, წითელი კუთხე, 300-მდე ბიბლიოთეკა, რომლებსაც თავიანთი ფონდში აქვთ ერთი მილიონი ტომი ლიტერატურა.

პლენუმზე ილაპარაკეს იმ პროფკავშირული ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ მუშა-მოსამსახურეთა შორის აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის ხელმძღვანელობას, არ სწვდებიან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას. [illegible] ფაბრიკის კლუბის გამგის ამხ. ბ. ბაზაძის მთელი „საქმიანობა“ ამოიწურება ცეკვის ფასიანი საღამოების მოწყობით. ბუნებრივია, რომ მუშები კლუბში არ დადიან, ხოლო ფაბრიკის პროფკავშირული კომიტეტი შეურიგდა ამას. ასეთივე მდგომარეობაა ფოთის ნავსადგურის, ჭიათურის ლიტოპონის ქარხნისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების კლუბებში, რომელთა პროფკავშირული ორგანიზაციები არ მუშაობენ ამ საკითხებზე.

კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები, მათი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის.

პლენუმის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაცია ჯერჯერობით ვერ აფასებს ლექციურ პროპაგანდას, დაბალ დონეზე ეწევა ამ პროპაგანდას. საწარმოებსა და კლუბებში ხშირად კითხულობენ განყენებული ხასიათის ლექციებს.

ინტერნაციონალური აღზრდის, ხალხთა მეგობრობის პროპაგანდის საკითხებმა ერთ-ერთი მთავარი ადგილი უნდა დაიკავოს პროფკავშირული ორგანიზაციების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაში.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ე. გოგიაშვილმა ილაპარაკა კლუბებში მშრომელთა კინომომსახურებაზე, იმაზე, რომ ამ საქმეში არის ნაკლოვანებანი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ არის შემთხვევები, როცა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ. მაგალითად, ბოლნისის რაიონის მთელ რიგ სოფლებში კლუბები გადაქცეულია საწყობებად.

კამათის ბევრმა მონაწილემ ყურადღება მიაქცია იმას, რომ პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში მეტი ადგილი უნდა დაიკავოს მოწინავე გამოცდილების გავრცელებამ, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკურმა პროპაგანდამ. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პროფორგანიზაციები ზერელედ მუშაობენ ახალგაზრდობის აღზრდისათვის, იმისთვის, რომ ჩაუნერგონ მას შრომითი ჩვევები, ჯერჯერობ ყურადღებას არ აქცევენ ჯანსაღი ყოფაცხოვრების, კომუნისტური მორალის პროპაგანდას.

ამის შესახებ ილაპარაკეს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ღოღობერიძემ, ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ს. ფუტკარაძემ, მუდიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. ომნაიშვილმა.

კამათში დიდი ადგილი დაეთმო იმ საკითხს, რომ უფრო ფართოდ გაჩაღდეს მხატვრული თვითმოქმედება, მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა, რომლებიც პროფკავშირული მუშაობის დიდმნიშვნელოვან უბნებს წარმოადგენენ.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ლელაშვილმა.

განხილულ საკითხებზე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებანი. (საქდესი).

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„კრიზისს ანგარიშს არ უწევენ, დანაკარგები იზრდება“

ქარელის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში ვხედავთ პურეულის აღებაში უდარდელობისა და უპასუხისმგებლობის შეუწყნარებელ ფაქტებს. რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები არ აღებენ ქმედითს ზომებს პურეულის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის, — წერდა „კომუნისტის“ 3 აგვისტოს ნომერში ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი.

პარტიის ქარელის რაიკომის ბიუროს განხილა აღნიშნული წერილი და სამართლიანად ცნო „კომუნისტის“ კრიტიკა. რაიკომის ბიუროს დასახა ღონისძიებანი მოსავლის აღებისა და დანაკარგებთან ბრძოლის საქმეში ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის. მოსავლის აღებისას დანაკარგების დაშვებისათვის სოფლების ქარელის, ქვენატკოცის, დირბის, ბრეთის, სანებლის, ირდეთის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ამხ. წიკლაურს, ქ. თოთლაძეს, ბერიძეს, ი. მაჭარაშვილს, ი. ლომიტაშვილს, შ. ტიტვინიძეს და ქარელის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. გ. თედორაშვილს დაედოთ პარტიული სასჯელი. თავთავების ასაკრეფად მასობრივად გამოიდა ახალგაზრდობა. კოლმეურნეებზე გაიგზავნენ აგიტმხატვრული ბრიგადები, გაძლიერდა საგიტაციო მუშაობა.

მოსავლის აღების პარალელურად გაძლიერდა ნამჯის გამოზიდვა-დაზვინვისა და სათესლე ხორბლის გაწმენდის სამუშაოები.

ჯიჩიფონის ველზე, ხორგლის ხვავთან

ტირიფონის ველისა და ვეერნაქის კალთის შესაყარზე, რომელსაც მოასფალტებული გზატკეცილის პრიალა სარტყელი მიჰყვება, ლაღად გადაშლილა ტიპიური ქართული სოფელი შავშვები. სოფელს გარს აკრავს ხეხილის ბაღები. ისინი ისე დაბურულან, რომ უცხო თვალს ტყე ეგონება. ბაღებს იქით ყანები ჩანს. კომბაინები ხომალდებივით მიცურავენ მწიფე პურის ყვითელ ტალღებში. კარგი პირი უჩანს სიმინდისა და ჭარხლის მოსავალსაც. ვინ არ იცის, რომ ეს ქართლელ კოლმეურნეთა უანგარო შრომისა და უხვი სარწყავი წყლის შედეგია.

სარწყავი წყალი ტირიფონაზე ორი ათეული წლის წინათ გამოიყვანეს ლიახვიდან. მას შემდეგ, რაც მინდვრები რუებით დაისერა და წყალი განუწყვეტლად მოდის, ზეღდულეთელ, ხურვალეთელ, ბერშუელ, სვენეთელ კოლმეურნეებს გვალვა აღარ აშინებთ.

ლიახვის ნამს სინათლეც მოჰყვა. სანამ მაგისტრალური არხიდან წყალი რუებში განაწილდება, ჯერ ტურბინებში გაივლის. ტირიფონპესის ელექტროსადენების ქსელი თითქმის მთელ გორის რაიონს თავზე ბადესავით გადაფარებია.

შავშვებელი კოლმეურნეები დიდად დაოსტატებულან წყლის მოპოვებაში. ისინი მარტო არხის წყლით როდი დაკმაყოფილებულან. სოფელში რამდენიმე ადგილას ამოსჩქეფს არტეზიული ჭის შადრევანი. წყალი გემრიელი და წმინდაა. მას მოსახლეობა სასმელად იყენებს.

გზაზე მიმავალი მანქანების მძღოლები ამ ჭებთან არც თუ იშვიათად ჩერდებიან — განსაკუთრებით სიცხიან დღეებში, მანქანას „სულს მოათქმევინებენ“, ჩახედავენ მექანიზმს, რადიატორში ცივ წყალს ჩაასხამენ, ხელს დაიბანენ, წყალს პირზეც შეისხამენ. რამდენიმე წუთის შესვენებისას მგზავრებიც გადმოდიან მწვანე მდელოზე, გავლენ გზის პირს იქით. აღტაცებით შესცქერიან სოფლის კარმიდამოებსა და ბაღ-მინდვრებს.

აგვისტოს პირველი დღეებია. არც შავშვების პირდაპირ აღმართულ ბრუტსაბძელზე და კავკასიონზე, არც მის უკან — კვერნაქსა და თრიალეთზე ფთილისოდენა ღრუბლის ნაგლეჯიც არა ჩანს. ასეთი კაშკაშა ცა იცის აქ.

ამოვიდა მზე, და მანქანის ხმაური გაისმა კალოზე. შავშვების კალო ერთი ვეებერთელა ფარდულია. მის სახურავქვეშ დგანან მანქანები, ხოლო იატაკზე ყრია რამდენიმე ასეული ტონა ხორბალი. ამ შენობის გარშემო ჩამწკრივებულია გაულიწავი პურის და ნამჯის მთიანი ძირები. მოშორებით სალეწი მანქანა გუგუნებს. მანქანის ერთი მხრიდან ხორბალი გამოდის, მეორიდან — ნამჯა. ეს ის პურია, რომელიც შავშვებლებმა კომბაინისათვის მიუდგომელ ფართობებში მომკეს, ხარკამეჩით მოიტანეს. ნამჯის ძირების, სასილოსე კოშკების, ჩალის ზვინების დასადგმელი მოედნების მახლობლად აღმართულა წითელი ტუფით აყვანილი, ფართოფანჯრებიანი, კრამიტით გადახურული, უაზარმასავით გრძელი სახლი. ეს შენობა საკოლმეურნეო საქონლის სადგომია. ფერმაში ბაგურ კვებაზე შავშვებლებს უდგათ რამდენიმე ასეული მეწველი ძროხა, მათი ნამატი და მუშასაქონელი.

მეცხოველეებმა ეს ადგილი კალოს გვერდით განგებ შეარჩიეს. აგერ საკვების ბაზა, აგერ გაშლილი მთა და მინდორი, აქვეა არტეზიული ჭის წყალი პირუტყვის დასარწყულებლად, გზის გადაღმა კი კოლმეურნეთა სახლ-კარია.

დილაა, მაგრამ სოფლად ადამიანი იშვიათად ჩანს. განთიადზე ყველა წასულა სამუშაოდ. ქვემოთ ველში ხელს უწყობენ კომბაინს, მარგლავენ, რწყავენ ჭარხალს, ვაშლის ბაღებს, სიმინდს, რომელიც უკვე დაქოჩრებულია, ულვაში გამოუღია და ნაკვერცხალზე შესაწვავი მარცვალი გასჩენია.

კალოზე შემოიქროლეს სატვირთო მანქანებმა. ისინი გაშლილი ველიდან მოვიდნენ ხორბლით დატვირთულნი. მძღოლები ერთმანეთს ეცილებიან ძარას დაცლისათვის. სადგომებიდან გამორეკეს საქონელი. ველის წითელი ჯიშის ძროხების ჯოგი ბღავილით გაიშალა მინდორზე. მომავლელები შინისკენ მიდიან, დაისვენებენ, ისაუზმებენ, ისევ მალე დაბრუნდებიან.

ვინ ხელმძღვანელობს, ვინ პატრონობს ასე რთულ მეურნეობას? ვინ აწესრიგებს აქ საათივით აწყობილ შრომას?

შავშვების მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ კარგა ხანია მუშაობს ნადია ბუჯიაშვილი. მან მზის ამოსვლას დასწრო ველის შემოვლა. კალოზე გაჩნდა ხელად. ხორბლის საწმენდ, დამბარისხებელ მანქანას გაუარა გვერდით, რაღაც დადაულაპარაკა მემანქანე ს. თათარაშვილს, პეშვზე გახედა სათესლე, პირველ, მეორე და მესამე ხარისხის სასაქონლო მარცვალს. დაბოლოს ახალგაზრდა ქალებს მიაშურა, რომლებიც ტომრებს ავსებენ გაწმენდილი ხორბლით.

— დამიბრუნდა! — ეუბნება ერთი მათგანი ტუჩებზე ღიმილგადაკრული.

— აკი ვნახე! — მიუგო თავმჯდომარემ.

— როგორ! — გაოცდა ქალი, — წუხელის ნაშუალამევს შემოალო კარი, დილით ისევ ბნელოდა, წყლის მისაშვებად რომ გასწია.

— სწორედ ალიონზე ვნახე მრწყველები, დროზეთ მიშველებიან ხეხილს.

— ანე იცის! — გადაულაპარაკა ქალმა მეორეს, მასზე უფრო ახალგაზრდას, როცა ნადია გაშორდათ.—მაგის თვალს არაფერი გამოეპარება, სადაც არ ელიან, ღამეა თუ დღე, ხედავ — იქ გაჩნდება.

ქალების ეს გადალაპარაკება უსაფუძვლო როდია. თავმჯდომარეც არის და თავმჯდომარეც. ნადია ბუჯიაშვილი მათ შორის თუ პირველი არაა, არც რომელიმე მათგანზე ნაკლებია. შეიძლება ითქვას, რომ ხასიათის ზოგიერთი თავისებურებით, კოლმეურნეობაში შრომის მოწყობის წესრიგით ყველაზე დიდ ყურადღებას იმსახურებს. მაგალითად: შავშვებში წელიწადის ყოველ დროს, ყოველ ალოზე ყველა კოლმეურნემ იცის, რა როგორ გააკეთოს. დღეის გასაკეთებელ საქმეს ხვალისათვის ვერავინ გადადებს. ასეთი დამოკიდებულება შრომისადმი და კიდევ ის, რომ, რასაც ადამიანის ხელი მიეკარება, მან უთუოდ სარგებლობა უნდა გამოიღოს — ნადიამ წლობით აღზარდა მისი კოლექტივის შეგნებაში და ყოფაცხოვრებაში.

ნადიას შინ ვერ აკავებს ზაფხულის პაპანაქება სიცხე, შემოდგომის ცივი ქარი, იანვრის თოვლ-ყინვა, რაც საგრძნობი სიმკაცრით იცის ტირიფონის ველზე. კარგ ამინდს ხომ თქმა არ უნდა. სადაც შესაძლოა, მანქანით, სხვაგან ცხენით, კიდევ ურმით და ფეხით ის აუცილებლად მივა. უნახავად, გაუსინჯავად არ დააგდებს ნამუშევარს. წესად აქვს: კოლმეურნეობის ყოველგვარმა ნიადაგმა, ერთი ფეხის დადგმა მიწის ნაჭერმაც კი ადამიანისა და საქონლის სარჩო-საკვები უნდა გამოიღოს. სამაგიეროდ კი ცივმა, თითქოს უგულო მიწამ გულდადებული, გონიერი მოვლა და პატივი მიიღოს კოლმეურნისაგან.

წარმოიდგინეთ საშუალოზე მაღალი ტანის, ფეროვანი, ორი სტუდენტი ვაჟის დედა-მანდილოსანი, თმაში ერთი ჭაღარა რომ არ ურევია. ქალი — მოძრავი, მოაზრე, ყოველთვის საქმის შემმართებელი. ასეთია ნადია ბუჯიაშვილის არც თუ სრული პორტრეტი. ცხოვრებაში მას ბევრი რამ გადახდენია!

ნადია შავშვებში დაიბადა. იქ შეიძინა დაწყებითი განათლება, დაქალდა, გათხოვდა, სამამულო ომის დაწყებისას ქმართან ერთად ბელორუსიაში იყო საზღვართან. პირველ დღესვე დაეღუპა მეუღლე. ორი მცირეწლოვანი ვაჟით ძლივს მიაღწია შავშვებს მამამთილის ოჯახში. მაშინვე მინდვრად სამუშაოდ გავიდა. დიდხანს მუშაობდა რიგით კოლმეურნედ კომბაინთან, მეცხოველეობაში, ბაღებსა და ვენახებში. ბოლოს შავშვებლებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. ვინ აქცია გვალვის სამყარო ტირიფონის ველი უხვი მოსავლის მხარედ? კოლმეურნე მასების მადლიანმა ხელმა, მათმა თავდადებულმა შრომამ. გვალვასთან და მოუსავლიანობასთან ბრძოლაში ნადიას მამა — ივანე, დედა, ძმები, ბიძაშვილები, ყველა შავშვებელი მონაწილეობდა. ნადიაც მათ შორის იყო. თვითონ დაურგავს მრავალი ნერგი, უთვალავი კურკა დაუთესია, დამტკბარა წყლის ჩუხჩუხით, როცა ბარით კვალს თხრიდა, მიუძღოდა მაცოცხლებელ ნამს კორდისაკენ. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფით ტკბებიან ახლა შავშვებელი კოლმეურნეები, ხარობს ნადია ბუჯიაშვილი.

— როგორი იყო წარსულში ეს ველები? — ეკითხებიან თავმჯდომარეს.

— ტირიფონზე ხე არ იდგა, შუა ივნისიდან ბალახი ქრებოდა. აი ისე გახრიოკდებოდა მიწა, როგორც აგერ ურწყავი კვერნაკის ქედია.

— ამბობენ დიდ ფართობს ამუშავებთ.

— სამი ათას ჰექტარს. — მიუგებს ნადია და დასძენს: — განა ბევრია?

— როგორ ერევით ამოდენა მიწას?

— მანქანები გვაქვს. საჭიროების დროს გუთნეულებიც მოგვეპოვება. მუშასაქონელი, გამოქნილი ხარ-კამეჩი გაცილებით მეტი გვყავს ახლა, ვიდრე წინათ.

— მოსავალი წელს როგორი გაქვთ?

— პური — ნანატრი, სიმინდს — კარგზე კარგი პირი უჩანს, ჭარხალს... აგერ თვითონ ხედავთ... სულ ცოტა, საშუალოდ, ექვსას ცენტნერ ბოლქვს ავიღებთ ჰექტარზე.

— ვაზი?

— აგერ ვაზი! — იშვერს ხელს ნადია დაისრიმებული ზვრისაკენ, ახლად შეწამვლის შემდეგ ლურჯად რომ ლივლივებს. — რა გითხრათ, უკვე ყველა კულტურაზე მეტ შემოსავალს გვაძლევს, კარგი სალარო იცის მაგ დალოცვილმა. სარგებელი სარგებლად დარჩეს... შავშვებლებმა სხვაზე ნაკლებ როდი იციან ყურძნისა და ღვინის გემო, სიმღერაც ეხერხებათ, — ამბობს თავმჯდომარე და მიეჩქარება ველისაკენ. იქ დღეს კომბაინებმა თვალუწვდენი მინდორი მოლიეს. როგორ აიღეს? როგორ არიან კომბაინერები და მათთან მომუშავეები? ხვალისთვისაც ხომ მზად არიან მანქანები? აგერ მტს-ის დირექტორიც გაჩნდა. სწორედ დროზე მოვიდა. კოლმეურნეს მასთან განუწყვეტელი ურთიერთობა აქვს. სადაც კომბაინმა პირველი შემოვლა გააკეთა პურში და ნაწვერალი გამოჩნდა, იქ ხვნა იწყება.

რა მალე გადის დღე მინდორში! მოსაღამოვდა. კრიალა ცაზე ვარსკვლავები გაჩნდნენ. კალოზე ელექტრონათურები აინთო. საძოვრიდან ფერმის ეზოში ბღავილით შემოვიდა ნახირი. სოფელში ბუხრებიდან კვამლი ადის. ფარდულში და მის გვერდით განაგრძობენ ხმაურს სალეწი და პურის დამხარისხებელი მანქანები. ემზადებიან მწველავები, ღამე მოკლეა, ისიც შეუმჩნეველად გავა. ერთი წუთით არ წყდება კოლმეურნეთა შრომა მარჩენალ ტირიფონაზე.

ბორის ჩხეიძე.

მაქსიმალურად გამოვიყენოთ შესაძლებლობანი, უზრუნველვყოთ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულება

* * *

ერთნაირ პირობებში სხვადასხვა შედეგი

...სკკპ XX ყრილობის ისტორიული ...დაწყვეტილებებით აღფრთოვანე...ლმა მახარაძის რაიონის მშრომე...ებმა მოძმე უკრაინის სსრ ხერსონის ...ლის გენიჩესკის რაიონის მშრომე...ებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ...მისას იკისრეს 24 მილიონი კილო...ამის ნაცვლად წელს ჩვენს მრეწ...ლობას ჩააბარონ 25 მილიონი კი...ოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთო...ი. ამ ვალდებულების განაღდები...თვის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. სამწუხაროდ, ...ზფხულზე ხანგრძლივი პერიო...ს განმავლობაში დაბალმა ტემ...რატურამ სერიოზულად შეაფერხა ...ს ბუჩქის ნორმალური ვეგეტაცია. ...ოთლის კრეფა წინა წელთან შედა...ბით 18 დღის დაგვიანებით დაიწყო. ...უამინდობას ისიც დაემატა, რომ ზო...ერთ კოლმეურნეობაში მაქსიმალუ...დატვირთვით ვერ გამოიყენეს მუ...ელი, გაუხეშების გამო დაუშვეს ...ოლის დანაკარგები. ყოველივე ...ს შედეგად რაიონმა ვერ შეასრუ...ნა ნედლეულის დამზადების მაისი...და ივნისის გეგმები. მხოლოდ 73 ...ოცენტით შესრულდა ივლისის და...ება. 12 აგვისტოსათვის რაიონში ... დამზადებულია 16.599.000 კი...ოგრამი ნედლეული, 2.542.000 კი...ოგრამით ნაკლები გასული წლის შე...ამის პერიოდთან შედარებით.

...ამორჩენა გრძელდება. წინა თვეე...ს დანაკლისით მიმდინარე თვეში ...და დამზადდეს 7.279.000 კილო...ამი ნედლეული. 12 აგვისტოსათვის ...ალება შესრულებული იყო მხო...ოდ 24,1 პროცენტით.

...მწინავე კოლმეურნეობების და ...ბჭოთა მეურნეობების მაგალითი ...ჩვენებს, რომ ყველგან მაქსიმალუ...დ რომ გამოიყენებინათ არსებული ...აძლებლობანი, უკეთესი შედეგი ...ებოდა.

...შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებუ...ების განაღდებისათვის ჯარგ მაგა...თს იძლევა სოფელ მახარაძის კოლ...ურნეობა „გზა კომუნიზმისაკენ“. აქ ...ლმეურნეობის გამგეობამ და პარ...ულმა ორგანიზაციამ უნარიანად ...რაზმეს კოლმეურნეები და წარმა...ებიც მოიპოვეს. კოლმეურნეობამ ...ა კრეფის მაისისა და ივნისის გეგ...102,3 პროცენტით შეასრულა, პარ...ის მახარაძის რაიკომისა და რაისაბ...ის აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

...ოფელ მახარაძის კოლმეურნეობის ...ვრები იბრძვიან იმისათვის, რომ ...ეიური გეგმა 10 სექტემბრისათვის ...ასრულონ, 402.000 კილოგრამის ...ვლად ქვეყანას მისცეს 432.000 კი...ოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და ...ლმდე შეინარჩუნონ შრომისა და მეგობრობის სიმბოლო — უკრაინული გარდამავალი წითელი დროშა.

ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა 10 აგვისტოსათვის შეასრულა კონჭკათის კოლმეურნეობის მეჩაიეთა იმ რგოლმა, რომელსაც მოწინავე მკრეფავი ვერა კოსტავა ხელმძღვანელობს. კოსტავას რგოლს 8.450 კილოგრამის ნაცვლად უკვე მოკრეფილი აქვს 8.760 კილოგრამი ფოთოლი და იბრძვის კიდევ 3.000 კილოგრამი ნედლეულისათვის.

მოწინავე მეჩაიეთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შემოწმებამ ნათელყო, რომ 1 აგვისტოსათვის რაიონში ყველაზე მეტი ჩაის ფოთოლი — 4.612 კილოგრამი მოკრეფილი ჰქონდა სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს — ლენა შარაძეს. კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში სოციალისტური შრომის გმირებს ლეო გაგუას და ტატიანა ჩხაიძეს, აგრეთვე თინა ხომერიკს, თამარ მაჭარაშვილს და გუგული ქადეიშვილს, განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში სოციალისტური შრომის გმირს ზინა ბაჯელიძეს, მთისპირის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში ლუბა კიღურაძეს. თვითეულ მათგანს მოკრეფილი აქვს 4.000-4.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ასევე თავი ისახელეს ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში სოციალისტური შრომის გმირებმა ეკატერინე ზახაროვამ და ალექსანდრე ერშაკმა, ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობიდან — სოციალისტური შრომის გმირებმა ელენე ფედოროვამ, გორპინა შკირიამ, აგრეთვე ირინა კოვალიოვამ, ნარუჯის საბჭოთა მეურნეობაში — სირანუშ მარქარიანმა და ნახშუნ ბაგრატიანმა.

სამწუხაროდ, მოწინავეთა გვერდით ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, რომელიც უკან ეწევა რაიონის გეგმის შესრულებას.

ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ყველაზე მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობაა. მან წელს ვალდებულების ჩათვლით 2 მილიონი კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა დაამზადოს. ნატანელი მეჩაიეები წელს მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ. კოლმეურნეობა ძლიერ ჩამორჩა მაის-ივნისის დავალების განაღდებაში, ივლისში გეგმა მხოლოდ 58,9 პროცენტით შეასრულა, ხოლო 12 აგვისტოსათვის თვიური დავალება შესრულებული იყო 18,2 პროცენტით.

კოლმეურნეობის ჩამორჩენა იმან გამოიწვია, რომ მთელ რიგ ბრიგადებში მოუწესრიგებელია შრომა, ვხვდებით ფოთლის გაუხეშების ფაქტებს. ბრიგადირი ალექსანდრე ტუღუში არ აწარმოებდა კოლმეურნეთა სამუშაოზე გამოსვლის აღრიცხვას. მსგავსი ფაქტი გამოვლინდა ბრიგადაში, რომელსაც გივი ქილიფთარი ხელმძღვანელობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ აქ ყოველდღიურად არ გამოდის სამუშაოზე ყველა კოლმეურნე. 31 ივლისს 14.710 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოიკრიფა, ხოლო მეორე დღეს მიუხედავად იმისა, რომ ფოთოლი საკმაოდ იყო, „შესვენება“ გამოაცხადეს და მხოლოდ 9.220 კილოგრამი ნედლეული დაამზადეს. ამჟამად კოლმეურნეობაში ჩაის ფოთოლი უხვად არის შემოსული, მაგრამ მასობრივი კრეფა არ წარმოებს.

სერიოზულად ჩამორჩება აგრეთვე ნაგომრის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 673.000 კილოგრამი ფოთოლი. ნაგომრელებს არც ერთი თვის დავალება არ შეუსრულებიათ. მიუხედავად ამისა, აქ მაინც უშვებენ ფოთლის დიდ დანაკარგებს. მერვე ბრიგადის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ისეთი ნაკვეთი, სადაც არავითარი ღონისძიება არ გაუტარებიათ, ფოთოლი წელს ამ ნაკვეთზე არ მოუკრეფიათ, ბუჩქები გვიმრითა და სხვა სარეველა მცენარეებით არის დაფარული. ასეთ ფაქტს იმიტომ ვხვდებით, რომ აგრონომი ვ. თავაძე არ იცნობს ყველა ნაკვეთს, არ ზრუნავს აგროღონისძიებათა დროულად განხორციელებისათვის.

ამჟამად რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთოლი უხვად არის შემოსული. ფოთლის კრეფის ტემპი ყოველდღიურად იზრდება, მაგრამ ზოგან მაინც ვხვდებით ფოთლის დანაკარგებს. საქმე იმაშია, რომ შემოსული ფოთლის უდანაკარგოდ აღებისათვის ყოველდღიურად დაახლოებით 17-18 ათასი მკრეფავია საჭირო. რაიონში მკრეფავთა რაოდენობა კი 11-12.000-ს არ აღემატება, რაც სერიოზულ სიძნელეს ქმნის.

ამას ისიც ემატება, რომ ფოთოლთან ერთად პლანტაციებში ფეხს იდგამს სარეველა ბალახები, პლანტაციები სასწრაფოდ დამუშავებას საჭიროებს. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საბჭოთა მეურნეობებში, რომლებსაც საკუთარი მუშახელი არ ჰყოფნით. იკარგება ძვირფასი ნედლეული. მართალია, რაიონის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები ცუდად არ ეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, მაგრამ მარტო ეს საქმეს არ შეელის.

ამრიგად, შექმნილი მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს იმ საკითხს, რომ მახარაძელ მეჩაიეებს დახმარება გაეწიოს მუშახელით.

დრო არ ითმენს. აგვისტო ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეა. მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი, დავრაზმოთ კოლმეურნეები ჩაის კრეფაში ჩამორჩენის დასაძლევად, ნაკისრი ვალდებულებების უთუოდ გაანაღდებისათვის — აქეთკენ უნდა წარიმართოს რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ღონისძიებანი.

ვ. ჯაყელი,
მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის“ რედაქტორი.

წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნ. კოსტავამ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულა. მან ვალდებულება იკისრა სეზონში გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 1.000 კილოგრამი ჩაი. **სურათზე:** ნ. კოსტავა მუშაობს დროს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

★

თავდადებული შრომის ნაყოფი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). კარგად მუშაობენ სოფელ ოქტომბრის მიქროიანის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები. წელს გეგმით აქ 345 ათასი კილოგრამი ნედლეული უნდა მოკრიფონ. კოლმეურნეობა იბრძვის იმისათვის, რომ 102 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 4 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 55 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული.

კოლმეურნეები ვალდებულების შესასრულებლად ენერგიულად შრომობენ. მათ ჩაის ფოთლის კრეფის მაისი-ივნისის გეგმა 101 პროცენტით შეასრულეს, ივლისისა კი—118,1 პროცენტით. მოკრეფილი ფოთლის 74 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მეცამეტე ბრიგადამ (ხელმძღვანელი გ. ზაქარაია) ივლისში გეგმის გადამეტებით 6 ტონა ჩაის ნედლეული მოკრიფა. ბრიგადის წევრები დები ნ., ქ. და ც. არნანიები ყოველდღიურად კრეფენ 50-60 კილოგრამ ჩაის ხარისხოვან ფოთოლს თვითეული.

კოლმეურნე ვერა ნარუშვილი 65 წლისაა, მაგრამ ყოველდღიურად თავს დასტრიალებს ჩაის პლანტაციებს, მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარ ფართობზე სეზონში 2 ათასი კილოგრამი ფოთოლი უნდა მოეკრიფა, ფაქტიურად წლიურ გეგმას 1.000 კილოგრამით უკვე გადაამეტა.

კოლმეურნე მეჩაიეთა გადაწყვეტილებაა აგვისტოში კიდევ უფრო კარგად იმუშაონ, ვიდრე გასულ თვეებში.

სვანეთში, ხაიშის ტყეებში

წინა ღამით წვიმდა. დილით ადრე მზე არც კი იყო ამოწვერილი, რომ ღრუბლები მაღალ მთებზე მიმოფანტნენ. ნისლიც თანდათანობით გაქრა. ჩვეულებრივად გაჩაღდა მუშაობა ხაიშის ტყეებში. ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ყველა უბანზე დიდი გამოცოცხლება იყო. ტყის მასივების სხვადასხვა მხრიდან მოისმოდა ტრაქტორებისა და ბენზომოტორიანი ხერხების, ავტომანქანების გუგუნი. ამას ერთვოდა და მყუდროებას არღვევდა წაქცეული ვეებერთელა ხეების ხრიალი, ადამიანთა ომახიანი შეძახილები.

— ორი წელია, — გვიხსნის მთავარი ინჟინერი რამან კვიციანი, — სვანეთის მთებში ინერგება მექანიზაცია. 1955 წელს შემოღებულ და გამოყენებულ იქნა მოძრავი ელექტროსადგურები, რომელთა ბაზაზე მუშაობენ ელექტროხერხები. ამ ელექტროხერხებით მუშაობა შეიძლება დიდ ქანობიან — 25-35 გრადუსიან ადგილებში. მათი შემწეობით ხდება ცალკეული დადამღული ხეების წაქცევა, იქვე დამორვა. ამის შედეგად მერქნის გამოსავლიანობა გაიზარდა — 6-7 პროცენტით.

მეტად საინტერესოა ამ მაღალ მთებზე მეტყევეთა მუშაობა. როცა მთლიანად ხელით შრომას იყენებდნენ, ცხადია, დიდი სიძნელეები იყო. მაგრამ ახლა მნიშვნელოვნად შემსუბუქდა შრომა.

— ამ ადგილს ორმალეთის უბანს ეძახიან, — ამბობს ამხ. კვიციანი. — აქ დადგმულია „ლ-20“ მარკის ჯალამბარი, რომელიც ერთდროულად მუშაობს ხეების წაქცევაზე, დამორვასა და მოზიდვაზე. ამან საგრძნობლად შეამცირა ხე-ტყის გამოზიდვის ხარჯები, შემცირდა ხეების დამტვრევის პროცენტი, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 25 პროცენტით. წელს კიდევ ერთ ტექნიკურ სიახლეს განახორციელებენ. ლახამის ხე-ტყის დამზადების უბნის ტიტას საოსტატოში შენდება საჰაერო-საბაგირო გზა ერთ კილომეტრზე. ამით ხე-ტყის მოზიდვის სატრაქტორო გზა შვიდი კილომეტრით შემოკლდება, მნიშვნელოვნად შემცირდება დანაკარგები. საჰაერო-საბაგირო გზა გასწევს სამი მძლავრი ტრაქტორის მაგიერობას.

ქვემო იფარის უბნის ყაზახის საოსტატოში ეწყობა სამუხრუჭო საჰაერო გზა. ეს კი ხეების მოზიდვის სატრაქტორო გზას 1,5 კილომეტრით შეამოკლებს და გაათავისუფლებს „ს-80“ მარკის ორ ტრაქტორს, რომლებიც სხვაგან იქნება გამოყენებული. ყაზახის საოსტატოში აგრეთვე დაიდგმება „ლ-4“ მარკის ჯალამბარი, რომელიც ხე-ტყის მოზიდვაზე იმუშავებს. ამ ღონისძიებათა განხორციელებით ამ სატყეო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 25-30 პროცენტით, ხოლო მუშახელის რაოდენობა შემცირდება 20-25 პროცენტით.

წელს ელექტროხერხებთან ერთად წარმოებაში გამოყენებულია ბენზომოტორიანი ხერხი. მისი წარმადობა ცვლაში 48 კუბმეტრი ხე-ტყეა, ეს მანქანა ცვლის 6-7 კაცის ხელით შრომას. იფარის უბანზე უნდა დამზადდეს 31.800 კუბმეტრი [illegible] სმეტი ათასი კუბმეტრი [illegible] ბულად.

შემოქმედებითი, [illegible] შრომა გაჩაღებული ყაზახის ველის, ხელრას, იფარის ღელეს, პილოსანის საოსტატოებში. ოსტატები ა. ჯინჯოლია, გ. ხორგუანი, ა. ხვიბლიანი, შ. ბუხაიძე ენერგიულად იბრძვიან მეტი და ხარისხოვანი ხე-ტყის დამზადებისათვის. ისინი ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით იძლევიან 5-10 კუბმეტრ ხე-ტყეს. საწარმოო გეგმების შესრულებაში დიდი წვლილი შეაქვთ გამოცდილ ტრაქტორისტებს ტ. ჭკადუას, ა. ზიმოვცევს, ლ. შუკვანს, კ. გულუნოვს. თვითეული მათგანი დღიურ დავალებას 150-160 პროცენტით ასრულებს. მარჯვენამოუღელს ეძახიან მთაში ბენზოხერხებზე მომუშავეებს ი. ლემონჯავასა და ტ. გასიტაშვილს. ავტომანქანებზე მომუშავეთა შორის დაწინაურდა ვ. ველიგორსკი. ისინი ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ.

ლახამის უბანში სეზონში უნდა დამზადდეს 32.000 კუბმეტრი ხე-ტყე, დღემდე დამზადებულია 15.000 კუბმეტრი, ჩამოყრის დავალება კი შესრულებულია 50 პროცენტით. ორმალეთის უბნის მუშაკებმა 30.000 კუბმეტრი ხე-ტყიდან დაამზადეს 20.000 კუბმეტრი. ქვემო იფარში ეს სამუშაო შესრულებულია 70 პროცენტით.

ხე-ტყის დამზადების სამუშაოთა ასეთი ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ ხეების მოჭრისა და დამორვის შემდეგ სამანქანო და სატრაქტორო გზებზე ჩამოყრის პროცესის 80 პროცენტი ხელით სრულდება. ჩამორჩენის მიზეზია აგრეთვე მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობა. უბნებსა და საოსტატოებში იშვიათად ეწყობა კინოსურათის ჩვენება, ლექციები, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლა. მუშები სამართლიანად გამოთქვამენ საყვედურს „ორსის“ მიმართ. იშვიათად მზადდება ხორციანი ცხელი კერძები. იფარში არის სასადილო, მაგრამ იგი ცუდად ემსახურება მუშებს. მათ უმთავრესად პურით და კონსერვებით უმასპინძლდებიან. სასაყვედუროა ისიც, რომ მუშებს კვების პროდუქტები იფარის სასადილოდან მიაქვთ 10-15 კილომეტრზე დაშორებულ საოსტატოებში. ხშირად ამ პროდუქტების (ძეხვი, ზორცი, პური და სხვ.) ხარისხი უარესდება გადაზიდვის დროს. სავსებით შესაძლებელია ადგილებზე, საოსტატოებში მოეწყოს მუშათა კვება, ამის შესახებ სათანადო ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ.

დიდი სიმდიდრეა ხაიშის ტყეებში. საჭიროა გონივრულად მოვაწყოთ ამ სიმდიდრის გამოყენება, მივხედოთ, უფრო ახლოს გაეცნოთ აქ მომუშავეთა შრომასა და ცხოვრებას, დავეხმაროთ მათ კეთილშობილური დავალების შესრულებისათვის ბრძოლაში.

ნ. ჯანჯღავა,
ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

აზერბაიჯანის საესტრადო ორკესტრის კონცერტები

ამჟამად თბილისში იმყოფება აზერბაიჯანის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორი რაუფ გაჯიევი.

აზერბაიჯანელთა საესტრადო ორკესტრი ახლახან ჩამოყალიბდა. მისმა სადებიუტო კონცერტმა, რომელიც 15 აგვისს ბაქოში გაიმართა, მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. ორკესტრმა პირველი საგასტროლო კონცერტი გამართა 9 აგვისტოს თბილისის ოფიცერთა სახლის საზაფხულო თეატრში. მეორე დღეს სტუმრები ეწვივნენ ქალაქ რუსთაველის მეტალურგებს. 11 აგვისტოდან საესტრადო ორკესტრი მაყურებელს ხვდება ფილარმონიის საზაფხულო თეატრის სცენაზე. მუსიკალური ნომრებიდან ორკესტრი კარგად ასრულებს ფანტაზიას ბალეტ „გულაშანის“ თემაზე, რ. გაჯიევის „სამ მალმახ“ და „ფანტაზიას მსოფლიოს ხალხთა სიმღერებზე“, რომელიც დამუშავებულია ორკესტრის დირიჟორის კომპოზიტორ ვ. ბელინსკის მიერ. მუსიკოს შემსრულებელთაგან გამოირჩევიან დასარტყმელ ინსტრუმენტებზე შემსრულებელი ლ. ლუბენსკი და ორკესტრის სოლისტი შ. იბრაგიმოვი (საყვირი).

სოლისტ შემსრულებელთაგან პირველ რიგში უურადღებას იპყრობს 16 წლის მომღერალი გოგონა ელმირა რაგიმოვა. საუცხო ხმის და სცენიური მომხიბვლელობის მქონე ახალგაზრდა სოლისტმა წარმატებით შეასრულა სიმღერები ინდური კინოსურათებიდან — „ბაიჯუ ბავრა“ და „ავარა“.

უანრული სიმღერების პოპულარული შემსრულებლის მირზა ბაბაევის გამოსვლას მაყურებელი გულწრფელი სიყვარულით შეეგება. მ. ბაბაევმა ჩვეული ოსტატობით შეასრულა რ. გაჯიევის სიმღერა „მარტო შენ მიყვარხარ“ და არიები უ. გაჯიბეკოვის ოპერეტებიდან.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს აგრეთვე სოლისტებმა ე. დევიხმა და ლ. იმანოვმა.

სცენაზე არიან ახალგაზრდა მოცეკვავეები — ვარშავაში გამართული ახალგაზრდობის მეხუთე მსოფლიო ფესტივალის მონაწილენი ნ. ნაზიროვა, ქ. დადაშევი, ა. ზეინალოვი, რ. ასადულაევი, რომლებმაც შეასრულეს აზერბაიჯანული ხახუმარო ცეკვა „მოდი, მოდი“ და „მწყემსების ცეკვა“. (ქორეოგრაფი — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი ბ. მამედოვი).

საესტრადო ორკესტრის სახელად უნდა ითქვას, რომ მას ჰყავს პროგრამის წამყვანი შესანიშნავი მსახიობები გ. ნაჯაროვი და მ. შაროვი. თბილისელმა მაყურებელმა შეიყვარა ისინი საუკეთესოდ შესრულებული სიმღერებისა და ცეკვებისათვის. მსუბუქი და ჯანსაღი იუმორით ასრულებენ ისინი მთელ რიგ საინტერესო ნომრებს, რომელთაგან განსაკუთრებით დასამახსოვრებელია მუსიკალური სცენა „ჯუჯალარიმ“.

საესტრადო ორკესტრის მიერ თბილისში გამართული კონცერტების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკას შეემატა კიდევ ერთი მაღალნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივი.

სტუმრები ფილარმონიის საზაფხულო თეატრში კონცერტებს გამართავენ 19 აგვისტომდე, რის შემდეგ ეესტუმრებიან ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და გაგრის მშრომელებს.

ბ. აბესაძე.

სურათზე: აზერბაიჯანის საესტრადო ორკესტრი. წინა პლანზე — სოლისტი მ. ბაბაევი.

ფოტო შ. გოქაძისა.

დავიცვათ და განვავითაროთ სამონადირო მეურნეობა

...მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა ...ფლობს სანადირო მეურნეობის ...ვითარების ისეთ შესაძლებლობას, ...გორც ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა კავ...ირში სანადირო მეურნეობის პრო...ექცია ასეული მილიონობით მანეთს ...ოვებს. მაგრამ სანადირო მეურ...ობის მნიშვნელობა არა მარტო მა...ერიალური დოვლათითა და ფასეულ...ობებით გამოიხატება. ნადირობას ...ი სპორტული და გამაჯანსაღებელ...ი მნიშვნელობაც აქვს.

...ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არის ...ავრცელებული მუშაობა სანადირო მე...ურნეობის განვითარებისათვის, ძვირ...ასი ფრინველისა და ნადირის მომრავ...ლებისათვის. ამ მუშაობას, სანადირო ...ეურნეობის განვითარებას განსაკუთ...ებით შეუწყო ხელი საქართველოს ...რ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 ...ივლისს დადგენილებამ საქართველოს ...რ ტერიტორიაზე სანადირო მეურ...ობის მოწყობის ღონისძიებათა შე...ესახ. ამ დადგენილების საფუძველზე ...საქართველოს თითქმის ყველა რაი...ონში შეიქმნა აღკვეთილი და მიწერი...ი სამონადირო მეურნეობები, რო...ელთა მოვლა-განვითარებისათვის ამ...ჟამად დიდი მუშაობა წარმოებს.

...როგორც ცნობილია, სანადირო მე...ურნეობის გამდიდრება და განვითა...ება დამოკიდებულია მის მოვლაზე, ...ნადირისა და ფრინველის დაცვაზე.

...სამწუხაროდ, საქართველოს მონა...ირეთა კავშირის მუშაობის ყველაზე ...ეგ ნაკლად სწორედ ბრაკონიერების ...ნააღმდეგ სუსტი ბრძოლა უნდა ჩაი...თვალოს. ამიტომ ეს ბოროტება დღემ...დე არ არის აღმოფხვრილი. ნადირო...ს წესებს ბევრი თბილისელი არ...ეცვს. ისინი არ იცავენ ნადირობის წე...ებსა და ვადებს, ნადირობენ ღამე ...ელექტროშუქზე, გაზაფხულზე ხოცა...ენ ახლადმოფრენილ მწყერს, არ ინ...დრობენ კვერცხზე მჯდომ ფრინველს და მაკე გარეულ ცხოველებს.

ბევრ ჩვენს მონადირეს არა აქვს შეგნებული სამონადირო კულტურა, არ იცავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ სანადირო რეჟიმს, ველურად ეკიდება ნადირობის წესებს, და მხოლოდ იმას ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტი ძვირფასი ფრინველი და ნადირი დახოცოს.

ასეთი სახის ნადირობა, რასაკვირველია, არასპორტული და სახელმწიფო სამონადირო ფონდისათვის საზიანოა.

ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის მცხოვრებლებმა ა. მელაძემ, ბ. გაჩეჩილაძემ და ა. სამსონიძემ მიმდინარე წლის მარტში ირმები დახოცეს. მონადირეთა კავშირის მუშაკებმა მილიციის ორგანოების აქტიური დახმარებით დანაშაულის კვალს მიაგნეს. ბრაკონიერები სასტიკად დაისაჯნენ.

აღმაშფოთებელი შემთხვევა მოხდა ლაგოდეხის რაიონში. სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. კაპანაძე მანქანით დაედევნა ძაღლების დევნით მოქანცულ ირემს, დაიჭირა იგი და დაკლა. აღნიშნული ფაქტი დაადგინა რაიონის მონადირეთა საზოგადოებამ და დამნაშავე გადასცა პროკურატურას. სამწუხაროდ, პროკურატურამ მის მიმართ არავითარი ზომები არ მიიღო.

მიმდინარე წლის ივნისში სიღნაღის რაიონში საქართველოს მონადირეთა კავშირის „ალანდარა-იორის“ აღკვეთილ სამონადირო მეურნეობაში ბრაკონიერებმა თოხლაშვილმა და ბეროევმა მოკლეს ძვირფასი ფრინველები (5 დურაჯი და 4 ნოხობი), რომლებზეც ნადირობა აკრძალულია მთავრობის მიერ. აღკვეთილი სამონადირო მეურნეობის მცველმა ა. ჩუთლაშვილმა აღნიშნულ ბრაკონიერებს ნადირობის დროს სათანადო ოქმი შეუდგინა. მათი საქმე სიღნაღის რაიონის მილიციისა და პროკურორს გადაეცა. სამწუხაროდ, საქმის განხილვა დღემდე ჭიანურდება.

ცხაკაიას რაიონის მცხოვრებლები ბრაკონიერები მ. ცხვიტავა, ტ. ადამია, ა. ქუჩულორია და ლ. ადამია უხეშად არღვევდნენ ნადირობის წესებსა და ვადებს, სისტემატურად, დროის განურჩევლად ნადირობდნენ ძაღლებით კურდღლეზე. მათს საქმეს რაიონის მონადირეთა საზოგადოებამ სათანადო მსჯელობა მისცა.

ბრაკონიერთა მოქმედების შედეგად ძვირფასი სანადირო ცხოველი და ფრინველი (დურაჯი, ჯეირანი და სხვ.) უკანასკნელ წლებში ძლიერ შემცირდა, ზოგან კი მთლიანად განადგურდა.

ამ ბოლო დროს საგრძნობლად გაძლიერდა ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლა. მობილიზებულ იქნა მონადირეთა კავშირის აქტივი ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმთან შეიქმნა მცველ ინსპექტორთა ჯგუფი. გარდა ამისა, გამოიყო 26 ფასიანი მცველი-ინსპექტორი იმ რაიონებისათვის, რომლებსაც დიდი ფართობის აღკვეთილი სამონადირო მეურნეობები აქვთ.

თავის მხრივ რაიონების მონადირეთა საზოგადოებებმა საუკეთესო მონადირეთა აქტივიდან გამოჰყვეს 600-ზე მეტი საზოგადოებრივი ინსპექტორი, რომელთა მუშაობა მიმართულია ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევთა წინააღმდეგ. ამასთან მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმის მუშაკები ხშირად ჯგუფურად გადიან სანადირო ადგილებში ბრაკონიერების წინააღმდეგ საბრძოლველად. უკანასკნელი 8-10 თვის განმავლობაში გამოვლინებულია ნადირობის წესებისა და ვადების უხეში დარღვევის 200-ზე მეტი შემთხვევა. დამნაშავეებს სათანადო სასჯელი მიეზღოთ.

ბრაკონიერთა წინააღმდეგ ბრძოლა შესამჩნევად გააძლიერეს აფხაზეთის მონადირეთა კავშირმა, ფითელწყაროს, სიღნაღის, თელავის, ცხაკაიას, ლანჩხუთის, წყალტუბოს, გურჯაანის, ლაგოდეხისა და ხაშურის მონადირეთა საზოგადოებებმა.

მონადირეთა დიდი უმრავლესობა უფრთხილდება საჰელმწიფო სამონადირო სიმდიდრეს, მტკიცედ იცავს ნადირობის წესებსა და ვადებს. მაგრამ ეს როდი კმარა. ამასთან ისინი ვალდებული არიან შეურიგებელი ბრძოლა აწარმოონ ბრაკონიერთა წინააღმდეგ.

ზოგჯერ ნადირობის წესები და ვადები ირღვევა არა ბოროტი განზრახვის შედეგად. ხშირ შემთხვევაში წესების დამრღვევ მონადირეებს ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი, თუ რა ზიანს აყენებენ ყველასათვის საინტერესო და საყვარელ საქმეს.

ბრაკონიერობის აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა მონადირეთა შორის კარგად დაყენებული კულტურულ-მასობრივი მუშაობა. სამწუხაროდ, ეს მუშაობა ჯერ კიდევ მოისუსტებს. ახლახან მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმთან შეიქმნა კულტმასობრივი სექცია. სექციაში გაერთიანდნენ საუკეთესო მონადირეები, მათ უკვე გაუჩენიათ მუშაობა.

დაიწყო სამონადირო საკითხებზე ბიულეტენის და სხვა ლიტერატურის გამოცემა, მზადდება პლაკატები, მოწოდებები და სხვ. ქალაქებსა და რაიონებში გაიმართება ლექცია-მოხსენებები.

12 აგვისტოს გაიხსნა 1956-1957 წლის ნადირობის სეზონი. თვითეული მონადირე მოვალეა მტკიცედ დაიცვას მთავრობის მიერ დაწესებული ნადირობის წესები და ვადები.

სანადირო მეურნეობის გაუმჯობესება საქართველოს მონადირეთა კავშირის, მისი ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. მივაღწიოთ იმას, რომ მონადირეთა მასამ მტკიცედ შეიგნოს და დაიცვას მთავრობის მიერ დადგენილი ნადირობის წესები და კანონები.

რ. ჭელიძე,
საქართველოს მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე სუეცის არხის საკითხის შესახებ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

პეკინი, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს ყველა ცენტრალურმა ჩინურმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე და დიდი სათაურებით გამოაქვეყნა სუეცის არხის საკითხზე საბჭოთა მთავრობის განცხადების სრული ტექსტი.

გაზეთი „ჟენმინჟიბაო" მოწინავე სტატიაში „საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული წინადადება" წერს, რომ საბჭოთა განცხადებას დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. სსრ კავშირის მთავრობის განცხადება იმას მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი ნამდვილი მეგობარია ხალხებისა, რომლებიც ებრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ტიანძინის გაზეთი „დაგუნბაო", მხარს უჭერს რა საბჭოთა მთავრობის განცხადებას სუეცის არხის საკითხზე, მოწინავე სტატიაში მოუწოდებს ინგლისსა და საფრანგეთს ფხიზლად გაანიხილონ ახალი ვითარება და დროის სულისკვეთებით გადაჭრან სუეცის არხის საკითხი მშვიდობიანი საშუალებით სხვა ქვეყნების თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე.

ინდოეთი

დელი, 11 აგვისტო. (საკდესი). ყველა ცენტრალური და პროვინციული დიდი გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბჭოთა მთავრობის განცხადებას სუეცის არხის საკითხზე. მოჰყავთ რა განცხადების შინაარსი, გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობამ მიიღო მიწვევა მონაწილეობა მიიღოს ლონდონის კონფერენციაში, მაგრამ რაციონალურად მიაჩნია გაფართოვდეს მის მონაწილეთა შემადგენლობა და კონფერენციის მოწვევა გადაიდოს აგვისტოს ბოლომდე. გაზეთები ცნობებს განცხადების შესახებ წინ უმძღვარებენ დიდ სათაურებს. მაგალითად, „ტაიმს ოფ ინდია" წერს: „რუსეთი დაესწრება კონფერენციას. იგი მოითხოვს მოწვეულ იქნას უფრო ფართო შემადგენლობის კონფერენცია აგვისტოს ბოლოსათვის".

„ჰინდუსტან სტანდარდი" ათავსებს განცხადების სრულ ტექსტს და სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „რუსეთი არ ეთანხმება დასავლეთის მიერ მდგომარეობის შეფასებას".

საბჭოთა მთავრობის განცხადებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ინდოეთის პოლიტიკურ წრეებში.

ინგლისი

ლონდონი, 11 აგვისტო. (საკდესი). ინგლისური გაზეთები განაგრძობენ სუეცის არხის საკითხზე საბჭოთა მთავრობის განცხადების გაცხოველებულ კომენტირებას.

იმ მიზნით, რომ შეასუსტონ შთაბეჭდილება, რომელიც საბჭოთა მთავრობის განცხადებამ მოახდინა ინგლისის ფართო საზოგადოებრივ წრეებზე, „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" და სხვა ბურჟუაზიული გაზეთები ცდილობენ წარმოადგინონ იგი როგორც „პროპაგანდის აქტი". მთელი რიგი გაზეთების კომენტატორები, რომლებსაც არავითარი საფუძვლიანი მოსაზრება არ მოჰყავთ განცხადებაში აღნიშნულ წინადადებათა წინააღმდეგ, მყვირალა ფორმით მოუწოდებენ, უარყონ ეს წინადადებანი.

ამავე დროს პრესის ფურცლებზე ქვეყნდება ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ინგლისის გარკვეულ წრეებს ხელი არ აუღიათ ეგვიპტის მიმართ ზეგავლენისა და სამხედრო მუქარის თავიანთ პოლიტიკაზე.

„დეილი ჰერალდის" კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა გაძლიერის შუა აღმოსავლეთში ჯარების გადაყვანა ზღვით. მისი სიტყვით, ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მიიღო ბრძანება სატრანსპორტო გემებად გამოიყენოს ავიოსნები, რომლებიც წინათ დაყენებული იყვნენ კონსერვაციაზე. სავაჭრო ფლოტი გამოჰყოფს სატვირთო გემებს სატვირთო მანქანებისა და ტანკების გადასაზიდავად. „ეს ინტენსიური ოპერაცია, — წერს კორესპონდენტი, — მოხდება უახლოეს ორ კვირაში".

ინგლისში კი დღითიდღე ძლიერდება უკმაყოფილება სუეცის საკითხში „ძალის პოლიტიკის" გამოყენების ამ ცდების გამო. ეხება რა ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწეების გრიფიტსისა და რობენსის შეხვედრას პრემიერ-მინისტრ იდენთან 10 აგვისტოს, გაზეთი „დეილი მეილი" წერს: „ოპოზიციის ხელმძღვანელთა ვიზიტი დაუნინგ-სტრიტზე მოხდა იმის ნიშნების გამოჩენის შემდეგ, რომ სუეცის არხის საკითხში ინგლისის პოლიტიკური ერთიანობა ირღვევა".

8 აგვისტოს რადიოთი იდენის გამოსვლის შესახებ პარლამენტის ლეიბორისტი წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებანი, რომლებსაც გაზეთი „დეილი უორკერი" აქვეყნებს, წარმოდგენას იძლევიან განწყობილებაზე, რომელიც ძლიერდება ლეიბორისტულ მოძრაობაში.

მაგალითად, ფენერ ბროკუეი აცხადებს: „იდენის სიტყვაში ცუდი ის არის, რომ იქ სრულებით არ არის ნახსენები გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. იგულისხმება, რომ ინგლისის პოლიტიკა საერთაშორისო საქმეებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ემყარება. მაგრამ ინგლისი და საფრანგეთი მზად არიან უგულებელყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და იხმარონ ძალა".

უილიამ გრიფიტსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრის გამოსვლა რადიოთი „სრულიადაც არ ფანტავს ინგლისელი ხალხის მზარდ შეშფოთებას იმის გამო, რომ იგი შეიძლება ჩაითრიონ სისხლისმღვრელ სამხედრო ავანტიურაში".

მორის ორბეჩი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ანტონი იდენმა რადიოთი გამოსვლისას არ გამოიჩინა მზადყოფნა „გულისხმიერად გამოეხმაუროს მსოფლიო საზოგადოებრიობის განწყობილებას".

კონი ზილიაკუსის აზრით, იდენის სიტყვა იმის ნიშანია, რომ იგი მოხდა პარლამენტის იმ წევრთა გავლენაში, რომლებიც კონსერვატიულ პარტიაში უკიდურეს მემარჯვენე ფრთას წარმოადგენენ.

უილიამ უორბი აღნიშნავს: „მე ძლიერ გამაკვირვა იდენის განცხადებამ, რომელიც ამბობს, რომ ინგლისის მთავრობა წინანდებურად ფიქრობს გამოიყენოს ძალა, თუ თავის მიზანს ვერ მიაღწია კონფერენციაზე. ეს არ არის აზრი ინგლისელი ხალხისა, რომელიც ესწრაფვის მშვიდობიან მოწესრიგებას...".

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა

შეჯიბრებებში თავისუფალი სტილით ცურვაში 400 მეტრზე მამაკაცთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონისა და სპარტაკიადაზე გამარჯვებულის წოდება მოიპოვა ახალგაზრდა სპორტსმენმა ბორის ნიკიტინმა (საქართველოს სსრ). მისი შედეგი 4 წუთი და 38,5 წამი. სურათზე: 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მამაკაცთა შორის გამარჯვებულები საპატიო კვარცხლბეკზე (მარცხნიდან მარჯვნივ) ი. ახოვიანი (უკრაინის სსრ)— მეორე ადგილი, ბ. ნიკიტინი (საქართველოს სსრ) — პირველი ადგილი, ვ. სოროკინი (რსფსრ, ლენინგრადი) — მესამე ადგილი, გ. ანდროსოვი (უკრაინის სსრ) მეოთხე ადგილი, ა. რაზნოჩინცევი (რსფსრ, ნაკრები) —მეხუთე ადგილი, ე. პრესი (ესტონეთის სსრ) — მეექვსე ადგილი.

ფოტო ლ. დორენსკისა და ხ. პრეობრაჟენსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ასპარეზობის მეცხრე დღე

მოსკოვი, 13 აგვისტო. (ტელეფონით). სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა დასასრულს უახლოვდება.

მრავალი მაყურებელი ესწრება ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საცურაო აუზში გამართულ შეჯვედრებს. აქ მიმდინარეობს შეჯიბრება ცურვაში, წყალბურთსა და წყალში ხტომაში. საერთო ინტერესს იწვევს ფინალური შეჯვედრები. ქალთა შორის ნებისმიერი სტილით 4×100 მეტრზე ცურვაში ფინიშს პირველად შეეხო ლენინგრადის გუნდის წარმომადგენელი. ლენინგრადელებმა ცურვის ამ სახეობაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარეს, რაც 4 წუთსა და 36,9 წამს უდრის. საქართველოს გუნდმა მერვე ადგილი დიაკავა. ვაჟთა შორის 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ჩემპიონი გახდა დონაციერი (უკრაინა). საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა ანტონიანმა მეხუთე ადგილი დიაკავა. 100 მეტრზე ზურგით ცურვაში პირველ ადგილზე გამოვიდა კუკალენინი (ლენინგრადი).

დამთავრდა შეჯიბრება ვაჟთა შორის კოშკურიდან წყალში ხტომაში. პირველი სამი საპრიზო ადგილი მოსკოველებმა მოიპოვეს.

დაიწყო წყალბურთელთა დასკვნითი შეხვედრები. როგორც ცნობილია, საქართველოსა და უკრაინის გუნდების მატჩი წინასწარ შეხვედრებში დამთავრდა ფრედ 4:4. ეს შედეგი მათ ეთვლებათ ფინალში. გუშინ საქართველოსა და ლენინგრადის წყალბურთელთა გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 3:3. დანარჩენი ორი ასპარეზობის შედეგი ასეთია: მოსკოვი — რსფსრ 7:1. აზერბაიჯანი — უკრაინა 2:0.

როგორც ყოველთვის, დღესაც მრავალი მაყურებელი ესწრებოდა ქალთბურთელთა ფინალურ შეჯიბრებას. დილით შედგა ერთიერთი ცენტრალური ასპარეზობა საქართველოსა და ლატვიის ქალთა გუნდებს შორის. ტემპიანი და საინტერესო ბრძოლა დამთავრდა საქართველოს გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 49:33. საქართველოს გუნდს ორი მოგება და ერთი წაგება აქვს, რაც მოსკოვის გუნდის შემდეგ ყველაზე უკეთეს შედეგად ითვლება.

პირველი ექვსი ადგილისათვის მებრძოლ ვაჟთა გუნდებს შორის წინ არიან ლატვიისა და ლიტვის ქალთბურთელები, რომლებსაც ფინალურ ცხრილში ორ-ორი გამარჯვება უწერიათ.

გრძელდება შეჯვედრები თანამედროვე ხუთჭიდში. პირველი სამი ადგილისათვის ბრძოლა სომხეთის, რსფსრ და საქართველოს გუნდებს შორის მიმდინარეობს.

დამთავრდა შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. გუშინ საღამოს შედგა ვაჟთა ნებისმიერი ვარჯიშები. სსრ კავშირის ჩემპიონის და ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებულის წოდება მოიპოვა მოსკოვის სპორტსმენთა კოლექტივმა, რომელმაც 1.409,8 ქულა შეაგროვა. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს უკრაინის, ლენინგრადის, რსფსრ, საქართველოსა და სომხეთის გუნდებმა.

ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა მურატოვი (მოსკოვი) — 113,85 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა ჩუკარინმა, მესამე შახლინმა.

სურათზე: საშუალო წონის სპორტსმენები გ. სხირტლაძე (საქართველოს სსრ) და ხ. პრეობრაჟენსკი (რსფსრ, ლენინგრადი) ფინალური ჭიდაობის დამთავრების შემდეგ. გაიმარჯვა გ. სხირტლაძემ. მას მიენიჭა სსრ კავშირისა და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება.

ფოტო ა. სტუეინისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

მძლეოსანთა შეჯიბრება დასასრულს უახლოვდება. დღეს დილით გაიმართა შეჯიბრება სპორტულ სიარულში 20 კილომეტრზე. რსფსრ გუნდის სპორტსმენმა ლავროვმა დისტანცია ერთ საათში, 27 წუთსა და 58,2 წამში გაიარა და ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. ეს შედეგი მსოფლიო რეკორდს აღემატება.

გუშინ საღამოს დამთავრდა საგზატკეცილო ველორბოლა ქალთათვის 25 და ვაჟთათვის 100 კილომეტრზე. აქ გამარჯვებულნი გამოვიდნენ რსფსრ ველოსრბოლთა კოლექტივები. სპარტაკიადის დღეებში დამყარებული საკავშირო და მსოფლიო რეკორდების რიცხვთან ერთად გაიზარდა იმ სპორტსმენთა რიცხვი, რომლებმაც შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმები. მათი რაოდენობა 200-ს აღწევს.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

სსრ კავშირის ხალხთა მეუნაგოობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ყოველწლიური ფესტივალი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-14 ტირაჟისა, რომელიც მართა 1956 წლის 5 აგვისტოს ქალაქ მოსკოში.

მოგება ხვდა ყველა თანრიგის სერიებსა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება
060138	27*)	1.000	069741	12*)	1.0
060171	1-50	200	069847	25*)	1.0
060429	12*)	1.000	070153	30*)	1.0
060549	31*)	1.000	070155	10*)	1.0
060716	1-50	500	070235	25*)	1.0
060735	05*)	1.000	070275	32*)	1.0
061084	39*)	5.000	070331	38*)	1.0
061183	1-50	200	070359	42*)	1.0
061193	27*)	1.000	070494	1-50	1.0
061286	1-50	200	070612	43*)	1.0
061298	1-50	500	070622	32*)	1.0
061472	28*)	1.000	070669	1-50	6.0
061497	06*)	1.000	070851	1-50	
061532	30*)	1.000	070879	39*)	1.0
061560	1-50	500	070905	28*)	1.0
061878	41*)	1.000	070935	18*)	1.0
061903	1-50	200	071405	24*)	5.0
061932	11*)	25.000	071608	1-50	50.0
062032	04*)	1.000	071764	24*)	1.0
062065	1-50	500	072133	10*)	1.0
062112	16*)	1.000	072183	22*)	1.0
062124	28*)	1.000	072190	07*)	1.0
062426	44*)	1.000	072245	1-50	1.0
062457	50*)	5.000	072405	1-50	
062714	09*)	1.000	072462	27*)	1.0
062757	1-50	500	072528	1-50	1.0
062803	1-50	200	072576	1-50	
062808	35*)	25.000	072601	18*)	1.0
062882	20*)	1.000	072659	13*)	1.0
063068	12*)	1.000	072942	33*)	1.0
063250	29*)	1.000	073159	03*)	1.0
063307	39*)	1.000	073527	22*)	5.0
063415	29*)	1.000	073574	1-50	5.0
063441	04*)	1.000	073796	19*)	1.0
063498	07*)	1.000	073937	1-50	1.0
063767	35*)	1.000	073954	05*)	1.0
063799	50*)	10.000	074056	07*)	1.0
063883	1-50	500	074252	30*)	1.0
063919	1-50	500	074282	07*)	1.0
064035	1-50	200	074301	1-50	1.0
064124	31*)	1.000	074504	16*)	1.0
064128	12*)	1.000	074575	1-50	1.0
064467	26-50	200	074900	1-50	1.0
064498	38*)	1.000	074940	1-50	1.0
064622	32*)	1.000	075022	20*)	1.0
064627	1-50	200	075068	40*)	10.0
064657	03*)	1.000	075144	1-50	
064884	1-50	200	075377	20*)	1.0
065122	38*)	1.000	075503	23*)	10.0
065246	16*)	1.000	075769	11*)	1.0
065749	26*)	1.000	075815	10*)	1.0
065800	12*)	1.000	076152	1-50	1.0
065888	41*)	5.000	076154	1-50	
065924	18*)	1.000	076174	36*)	1.0
065943	06*)	1.000	076192	37*)	1.0
065950	1-50	500	076207	37*)	1.0
066304	35*)	1.000	076408	1-50	1.0
066360	41*)	1.000	076514	41*)	1.0
066367	1-50	200	076543	50*)	1.0
066477	1-50	500	076596	18*)	1.0
066507	11*)	1.000	076704	39*)	1.0
066570	22*)	1.000	076901	36*)	1.0
066722	1-50	500	076998	04*)	1.0
066972	27*)	1.000	077185	09*)	1.0
067154	12*)	1.000	077379	1-50	1.0
067223	33*)	1.000	077648	14*)	1.0
067281	44*)	1.000	077786	39*)	5.0
067445	1-50	200	077997	42*)	1.0
067568	1-50	500	078027	40*)	1.0
067850	1-50	200	078059	13*)	1.0
067853	07*)	1.000	078112	25*)	1.0
067896	1-50	500	078175	1-50	
067911	1-50	200	078346	1-50	
067921	45*)	1.000	078478	18*)	5.0
068050	48*)	1.000	078736	17*)	1.0
068203	31*)	1.000	078742	1-50	1.0
068283	35*)	5.000	078818	29*)	1.0
068517	35*)	10.000	078859	46*)	1.0
068781	12*)	1.000	078956	43*)	1.0
069044	04*)	1.000	079097	15*)	1.0
069563	1-50	500	079334	46*)	1.0
069564	1-50	500	079567	1-50	1.0
069648	09*)	1.000	079802	31*)	1.0
069651	39*)	5.000	079803	10*)	1.0

*) ამ სერიის ობლიგაციების დაწარჩენ ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თეთეული.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომ
სიის თავმჯდომარე — ქალაქ მოსკ
მოლოტოვის რაიონის მშრომელთა დ
პუტატების აღმასრულებელი კომიტეტ
თავმჯდომარე ბ. ნ. რიბაკოვ
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი
ლ. ა. ვასილიევ

რედაქტორი ბ. ფირცხალავა

პრეზიდენტ ნასერის პრეს-კონფერენცია

კაირო, 12 აგვისტო. (საკდესი). ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა დღეს მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 300-ზე მეტი ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტი. პრეზიდენტთან ერთად კონფერენციაზე იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჰაჰმუდ ფაზზი და პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი ალი საბრი.

პრეზიდენტმა ნასერმა გამოაქვეყნა ეგვიპტის მთავრობის განცხადება სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციასთან და სუეცის არხის საკითხზე ლონდონის კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ეგვიპტის მიწვევასთან დაკავშირებით.

შემდეგ ნასერმა უპასუხა მიცემულ კითხვებზე.

ეგვიპტის მთავრობის განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სუეცის არხის კომპანია არის ეგვიპტის კომპანია და ექვემდებარება ეგვიპტის კანონმდებლობას და მისი ნაციონალიზაცია განხორციელებულია ეგვიპტის სუვერენულ უფლებათა შესაბამისად. ეგვიპტის მთავრობა ვერ დაეთანხმება განცხადებას სუეცის არხის კომპანიის შესახებ, რომელსაც სმი სახელმწიფოს კომუნიკე შეიცავს.

სუეცის არხის კომპანიისათვის საერთაშორისო ხასიათის მიცემა იმის ცდაა, რომ შექმნან ეგვიპტის სუვერენულ საქმეებში ჩარევის საბაბი. ეგვიპტის კომპანიის ეროვნული ხასიათი აღიარებულია მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებთა და შეთანხმებებით.

სმი სახელმწიფოს კომუნიკე უგულებელყოფს ფაქტებს, რომლებიც ადასტურებენ ეგვიპტის უფლებებს. ეს მოწმობს, რომ მათ განზრახვა აქვთ ჩაერიონ ეგვიპტის საშინაო საქმეებში. კომუნიკეში დაბახინჯებულია ფაქტები, რათა გამართლონ სმი სახელმწიფოს ჩარევა ეგვიპტის საშინაო საქმეებში.

იმის ცდა, რომ კომპანიის ნაციონალიზაცია არიონ ნაოსნობის თავისუფლებში, არის ეგვიპტის საშინაო საქმეებსა და სუვერენიტეტში ჩარევის ცდა. არსით ნაოსნობის თავისუფლებას მუდამ უზრუნველყოფდა და უზრუნველყოფს ეგვიპტის მთავრობა, რომელმაც კომპანიის ნაციონალიზაციისას განაცხადა, რომ ნაოსნობის თავისუფლება კვლავაც იქნება დაცული.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ეგვიპტის მთავრობა წინააღმდეგია არხისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესებისა, რადგან ეს მიაჩნია კოლექტიურ კოლონიალიზმად. საერთაშორისო ორგანოს შექმნა ეგვიპტის საშინაო საქმეებში ჩარევა იქნებოდა. ეგვიპტის მთავრობა უარყოფს გადაჭრით გმობს ლონისძიებებს, რომლებიც ინგლისმა და საფრანგეთმა მიიღეს ეგვიპტის მიმართ. ამ ღონისძიებებს იყენებენ როგორც მუქარას, რათა ეგვიპტელი ხალხი აიძულონ დათმოს თავისი ტერიტორიის ნაწილი და ხელი აიღოს თავის სუვერენიტეტზე. ღონისძიებანი, რომლებიც ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა მიიღეს, ძირს უთხრიან საერთაშორისო შვიდობასა და უშიშროებას და არ შეესაბამებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

ეგვიპტის მთავრობა გაკვირვებულია იმით, რომ ინგლისის მთავრობამ დაგზავნა მიწვევა კონფერენციაზე ამ საკითხების განსახილველად, რომლებიც ეხება სუეცის არხს, რომელიც ეგვიპტის განუყოფელი ნაწილია, ხოლო კონსულტაცია არ გაუწევია ეგვიპტესთან, რომელსაც ეს საკითხი უშუალოდ ეხება. კონფერენციაზე მიწვეულია მხოლოდ 24 სახელმწიფო, მაშინ როცა 1955 წელს არხით სარგებლობდა სულ ცოტა 45 ქვეყანა.

ყოველივე ამის გამო ეგვიპტის მთავრობა განზრახულ კონფერენციას ვერ მიიჩნევს საერთაშორისო კონფერენციად, რომლის კომპეტენციას შეაგდებს გადაწყვეტილებათა მიღება. ამ კონფერენციას უფლება არა აქვს განიხილოს რაიმე საკითხი, რომელიც შეეხება ეგვიპტის იურისდიქციას ან მისი ტერიტორიის რომელიმე ნაწილზე ეგვიპტის სუვერენულ უფლებებს. ეგვიპტე ვერ მიიღებს კონფერენციაზე მიწვევას.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნების მიზნით და იმისათვის, რომ დაამტკიცოს თავისი ერთგულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ბანდუნგის პრინციპებისადმი, ეგვიპტის მთავრობა სხვა ქვეყნებთან ერთად, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1888 წლის კონვენციას, მზად არის გადადგას ნაბიჯები კონფერენციის მოსაწვევად, რომელშიც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კონვენციის ხელმოწერმა ქვეყნებმა და ყველა ქვეყანამ, რომლებიც სუეცის არხით სარგებლობენ. ამ კონფერენციის მიზანი იქნება გადასინჯოს 1888 წლის კონვენცია და დაიწყოს მოლაპარაკება ამ შეთანხმების დასადებად, რომელიც დაადასტურებს და უზრუნველყოფს არხით ნაოსნობის თავისუფლებას. ეს შეთანხმება შეიძლებოდა რეგისტრირებული ყოფილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში და გამოქვეყნებულიყო მის მიერ. შეთანხმებას შეიძლება მიემხრონ სხვა მთავრობები.

დღეს გვიან საღამოს პრეზიდენტმა ნასერმა რადიოთი მიმართა ხალხს.

ეგვიპტის მეზობელი ქვეყნების ელჩთა კონფერენციის დასასრული

კაირო, 11 აგვისტო. (საკდესი). 10 აგვისტოს კაიროში ათ-თაპრირის მოედანზე გაიმართა მრავალთასიანი მიტინგი სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილების მხარდასაჭერად. მიტინგი მოიწვია მუსლიმან ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის ასოციაციამ, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის არაბთა და მუსლიმანთა ორგანიზაციებს. მიტინგში მონაწილეობა მიიღეს ეგვიპტის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აზიის, აფრიკისა და ევროპის — სულ მსოფლიოს 26 ქვეყნის არაბთა და მუსლიმანთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ათ-თაპრირის მოედანი მორთულია დროშებით და ეროვნული ალმებით. ყველგან არის ლოზუნგები და ტრანსპარანტები მოწოდებით— განამტკიცონ ხალხთა მეგობრობა, დაიცვან თავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა.

მიტინგი გახსნა ეგვიპტის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, მუსლიმან ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის ასოციაციის წარმომადგენელმა შეიხ აბდულ ლატიფ დრაზმა. ჩვენ, თქვა მან, მტკიცედ ვიბრძოლებთ ჩვენი ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უცხოეთის გავლენისაგან ჩვენი სახელმწიფოების განთავისუფლებისათვის. აბდულ ლატიფ დრაზმა დაგმო პოლიტიკა იმპერიალისტური სახელმწიფოებისა, რომლებიც, თქვა მან, ცდილობენ არაბთა ქვეყნები იყოლიონ სუსტად განვითარებულნი, რათა უფრო ადვილი იყოს მათზე ბატონობა.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მაროკოს, ალჟირის, ტუნისის, პალესტინის, სირიის, ლიბანის, ირორდანიის, იემენის, სუდანის, ავღანეთის, ნიგერიის, ოქროს ნაპირის, სომალის წარმომადგენლებმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, იუგოსლავიის, ალბანეთისა და სხვა ქვეყნების მუსლიმანთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ეგვიპტის გადაწყვეტილებას სუეცის არხის ნაციონალიზაციის შესახებ როგორც კანონიერ აქტს, რომელიც საკუთრებ შეესაბამება ეგვიპტის ეროვნულ ინტერესებს.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად, დამსწრეთა ტაშის გრიალსა და მოწონების შეძახილებში მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ „სავსებით უჭერენ მხარს პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერს მის ისტორიულ გადაწყვეტილებაში სუეცის არხის ნაციონალიზაციისა და მის ნამდვილ მფლობელთა უფლების აღდგენის შესახებ". რეზოლუცია გმობს „იმპერიალისტურ ცდებს ჩაერიონ ეგვიპტის საშინაო საქმეებში, რაც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა უხეშ დარღვევას".

მიტინგის მონაწილეებმა საქვეყნოდ განაცხადეს, რომ მუსლიმანი ხალხები სავსებით სოლიდარული არიან ერთმანეთთან და გამსჭვალული არიან მისწრაფებით იბრძოლონ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ — მიმართონ მუქარას ან აგრესიას ეგვიპტის, ისევე როგორც მუსლიმანთა სამყაროს რომელიმე სხვა ქვეყნის მიმართ.

მიტინგის მონაწილეებმა დაადგინეს 16 აგვისტოს გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა არაბთა და მუსლიმანთა ყველა ქვეყანაში.

შეიქმნა კომიტეტი, რომელსაც მიენდო ეს გადაწყვეტილებანი აცნობოს ყველა სახელმწიფოს, რომელთა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მიტინგში.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ტიტოს განცხადება იუგოსლავიის პოზიციის შესახებ სუეცის საკითხში

ბელგრადი, 12 აგვისტო. (საკდესი). უპასუხა რა ტანიუგის სააგენტოს დირექტორის კითხვაზე იუგოსლავიის მთავრობის პოზიციის შესახებ ეგვიპტის მიერ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციისა და ლონდონის მომავალი კონფერენციის გამო, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იუგოსლავიამ კანონიერად მიიღო მემკვიდრეობით ყოფილი ავსტრია-უნგრეთის უფლებები, რომლებიც ემყარება 1888 წლის კონვენციას. ამის დამოუკიდებლად, იუგოსლავია არის ხმელთაშუა ზღვის აუზის ერთ-ერთი საზღვაო სახელმწიფო და ამიტომ უშუალოდ დაინტერესებული ნაოსნობით სუეცის არხში.

პრეზიდენტმა ტიტომ ამასთან დაკავშირებით გამოთქვა გაკვირვება, რომ სმმა სახელმწიფომ, რომლებიც იწვევენ ლონდონის კონფერენციას, უსულოდ უგულებელყო იუგოსლავიის ინტერესები, მისი უფლება — მონაწილეობა მიიღოს ყოველ კონფერენციაში, რომელმაც უნდა განიხილოს სუეცის არხში ნაოსნობის საკითხი. ეს, თქვა ტიტომ, როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის, რადგან კონფერენციაზე არ მიუწვევიათ სხვა ქვეყნებიც, რომლებიც იმდენადვე ან მსგავსი ზომით დაინტერესებული არიან ამ საკითხით, რაც ჩრდილს აყენებს მომავალი კონფერენციის მოტივებს, მიზნებსა და ეფექტიანობას.

საკითხისადმი ეს ცალმხრივი მიდგომა და საერთოდ აჩქარება, რასაც კონფერენციის ინიციატორები ეჩენენ, განაცხადა შემდეგ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მით უფრო საკვალია, რომ ამასთან გამოიყენეს გარკვეული ეკონომიური ღონისძიებანი და ძალის გამოყენების მუქარა ეგვიპტის წინააღმდეგ. ყოველივე ეს მოხდა საერთაშორისო დაძაბულობის თანდათანობით შენელების პირობებში. ამასთან დაკავშირებით მოხდა საერთაშორისო ვითარების ისეთი შეცვლა, რომელიც ეხება არა მარტო კონფერენციის ინიციატორ სამ ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოსაც, რომელიც დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებით. ასეთი მოქმედება ლაჯვარს სცემს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცება.

რაც შეეხება სუეცის არხის კომპანიის თვით ნაციონალიზა